„მოგზაური“ წლიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

# მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია ღიაა ყოველ დღე: დილის 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 37. კვირა, 9 ოქტომბერი 1905 წლისა. № 37.

**შინაარსი**: უტოპიური ელემენტები ფედერალისტების აზროვნებაში, გ.—სა. კიდევ იერიში მარქსიზმის წინააღმდეგ, ლ. ახმეტელაშვილისა.—ოფიც. ცნობა. შენიშვნები. ნარისა.—დაბა-სოფლის ამბები.—სხვადა-სხვა ამბები. „მაღალ ტაძარში მაღალია სულის კვეთებაც“, თაგუნასი.—ორიოდე სიტყვა ბ. ფ. გოგიჩაიშვილს, სან-დონისა. სომხის იდეოლოგები, როგორც პროლეტარიატის ინტერესების დამცველნი, ნერსესისა.—მრეწველობის საკითხები, თარგმანი.—პროფესიონალური კავშირები დასავლეთ ევროპაში, თარგმანი.—ერობის და საქალაქო თვითმმართველობათა კრება მოსკოვში.—ვისი ბრალია,—ბ. თეკლათელისა. ქართული მუსიკა, ფ. ქორიძისა.—განცხადებანი.

## უტოპიური ელემენტები ფედერალისტების აზროვნებაში.

### I.

მეცნიერული კოლლექტივიზმის ერთი ნიშნობლივი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მან თავისი იდეალი ერთი განსაკუთრებული კლასის, სახელდობ, პროლეტარიატის ეკონომიურ ინტერესებს დაუკავშირა. თავიდანვე მარქსმა თავის „სიმბოლო სარწმუნოებაში“ ის ჩასწერა, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება მუშათა კლასისვე საქმეაო. მან გამოარკვია ამ კლასის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა, მისი დამოკიდებულება სხვა სოციალურ კლასებთან და ჯგუფებთან და იმ დასკვნამდი მივიდა, რომ თვით ობიექტიური, პიროვნებათა ნებისყოფლობიდან დამოუკიდებელი პირობები უბიძგებენ პროლეტარიატს ჯერ შეითვისოს და შემდეგ ცხოვრებაში განახორციელოს კოლლექტივისტური იდეალი. ამ გვარათ მან ამოავსო ის ორმო, რომელიც არსებობდა წმინდა იდეალსა და ჩვეულებრივ სინამდვილეს შორის და იმ პირველს რეალური ელფერი მისცა. ამაში მდგომარეობს ჩვენი დიდებული მოძღვარის ისტორიული ღვაწლი: ის იდგა დიალექტური მატერიალიზმის საფუძველზე და იმის შემწეობით გარდაქმნა უტოპია მეცნიერებათ.

უტოპისტები ვერ განთავისუფლდენ სავსებით მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფიის ნაშთებიდან. სენსიმონიც, ფურიეც, და ოვენიც «ადამიანის ბუნების» განვითარებას სთვლიდენ საზოგადოებრივი განვითარების მიზეზათ. ამიტომ ისინი ნაკლებ მნიშვნელობას აქცევდენ ეკონომიური პირობების, ქონებრივი წინააღმდეგობების და ურთიერთობის განვითარებას. ისინი ვერ ამჩნევდენ ცხოვრებაში იმ ობიექტიურ პირობებს, რომელსაც საზოგადოება ისტორიული აუცილებლობით ამზადებს უმაღლეს საფეხურისთვის. ნორჩი პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას ისინი ან სულ ვერ ამჩნევდენ (სენსიმონი, ფურიე) ან და ალმაცერათ უყურებდენ (ოვენი). ეს ასეც უნდა მომხდარიყო: ისინი თავისი იდეალების განხორციელებას ხომ მთელი საზოგადოების (უფრო ქონებიანი კლასების) საქმეთ სახავდენ; ისინი იწოდებდენ შეგნებული ადამიანის ბუნებას, მის განყენებულ გონებას, რომელიც ერთნაირი უნდა ყოფილიყო კაპიტალისტისა და პროლეტარისათვის, ფეოდალისა და ნაყმევისთვის. მომავალი საზოგადოების წარმტაცი სურათებით ისინი ცდილობდენ ამ მეტაფიზიკური ადამიანის მოხიბლვას. მაგრამ ეს ნანატრი ადამიანი არ გამოეხმაურა უტოპისტებს, ის სინამდვილეში არ არსებობდა, ის აჩრდილი იყო უტოპისტების აზროვნების მიერ შექმნილი... მოკლეთ რომ ვთქვათ, განსხვავება მეცნიერულ კოლლექტივიაზმსა და უტოპიურ კომმუნიზმს შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირველი კლასობრივ საფუძველზე დგას, მეორე კი, პირიქით, კლასთაშორისო ნიადაგზეა დაყრდნობილი.

ქართველი ფედერალისტების აზროვნებაში იმ თავითვე ძლიერი იყო უტოპიური ელემენტები. ისინი თავის საქმეს ერთი რომელიმე კლასის საქმეთ კი არა, მთელი ქართველი ერის საქმეთ სახავდენ. რასაკვირველია ფედერალისტები გზას ვერ აუხვევდენ და ვერ უარყოფდენ იმ ღრმა კლასსობრივ ანტაგონიზმის არსებობას, რომელიც დღეს ყველასათვის აშკარაა, მაგრამ ცდილობდენ დაეჯერებინათ ჯერ თავისი თავი და შემდეგ სხვები, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება მარტო კლასსთა ბრძოლისაგან არ შესდგება, რომ არსებობს ინტერესთა ჰარმონიაც და რომ ისინი სწორეთ ამ საერთო ეროვნული ინტერესების გამომხატველნი და მცველნი არიან. ფედერალისტების ერთმა ორგანომ თავიდანვე ჰკითხა თავის თავს: ვინ არის დაინტერესებული ავტონომიის მოპოებაში, ვინ იბრძოლებს მის დასამყარებლათ, ვინ შევა ფედერალისტების რაზმებშიო და გადაჭრით უპასუხა: ყველა, ვისაც ქართველური გული უცემს, განურჩევლათ წოდებისა და ეკონომიური მდგომარეობისა, გელათელი ბერებისაგან დაწყებული ბათუმელ მუშებამდეო. რასაკვირველია, აქ ლაპარაკი არ ყოფილა ამ სხვა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესებზე, აქ ლაპარაკი არ ყოფილა არც სხვა ობიექტიურ მომენტებზე: ინტელლექტს, განყენებული ქართველის ბუნებას მოწოდებდენ, ფედერალისტები, წინ უშლიდენ ავტონომიური საქართველოს სურათებს და დაბეჯითებით ითხოვდენ მისგან დარწმუნებულიყო ავტონომიის-სარგებლიანობაში. ისინი არწმუნებდენ მათივე ფანტაზიით შექმნილ ქართველს, რომ მხოლოთ ავტონომიის საშუალებით შეიძლება საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგება საქართველოში, რომ ის სასარგებლოა საზოგადოების ყველა ნაწილებისათვის და ამიტომ იმის გულისთვის უნდა იბრძოლოს იმანაც, ვისაც კარგი საზამთროები უყვარს და იმანაც, ვინც კოლლექტივისტური იდეალისთვის იბრძვის.

და როცა ჩვენ მატერიალისტური ანალიზი ვუყავით ავტონომიის მოთხოვნას, როცა დავამტკიცეთ, რომ მას სარჩულათ საკლასთაშორისო ინტერესები კი არა, კარგათ გარკვეული კლასობრივი (სახელდობ წვრილ ბურჟუაზიული) ინტერესები უძევს, ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ერთხელ კიდევ გაიმეორეს, რომ ავტონომიას ერთი რომელიმე კლასის ინტერე-

სები კი არა მთელი ქართველობის ინტერესები მოითხოვსო*). ჩვენთვის აშკარაა, რომ ფედერალისტები ცდილობენ კლასთა შორისო ნიადაგზე დადგენ და ამ გარემოებით ვხსნით მათი აზროვნების უტოპიზმს.

ჩვენი მოწინაალმდეგეების ასეთი შეხედულება მათივე პოლიტიკურ მოწოდებაზე, რასაკვირველია არ აიხსნება არც იმით, ვითომც მათ ხალხის მოტყუება უნდოდეთ, არც სხვა რაიმე სუბიექტიური მოტივებით. არა, მათი ასეთი შეხედულება აუცილებლათ გამომდინარეობს იმ საზოგადოებრივი ჯგუფების ობიექტური მდგომარეობისაგან, რომლიდანაც შესდგება ფედერალისტების პარტია. იქ კი ორი საზოგადოებრივი კლასის წარმომადგენელმა იშოვა თავშესაფარი: ინტელიგენციის და წვრილი ბურჟუაზიის; ამ პარტიის ხალხიც ამ ორი კლასის სოციალ-ეკონომიურ ბუნებაზეა დამოკიდებული.

წვრილი ბურჟუაზია ცვალებადი, გამოურკვეველ ბუნების კლასია. მას უჭირავს საშუალო ადგილი ორ დიდ საზოგადოებრივ კლასების გვერდით. ის ვერასოდეს ვერ დგება გარკვეულ გზაზე და ხან პროლეტარიატს, ხან მსხვილ ბურჟუაზიას ემხრობა. ბასრი კლასობრივი ანტაგონიზმი, რომელიც ჰყოფს იმ ორ დიდ კლასს—აქ, წვრილი ბურჟუაზიის სფეროში, მიჩლუნგებულია. მისი ინტერესები რავდენიმეთ უერთდება პროლეტარიატის ინტერესებს, რამდენიმეთ კი კაპიტალისტებისას; ამიტომ მის იდეოლოგებს გონია, რომ ისინი კლასსობრივ წინაალმდეგობებზე მაღლა დგანან. ამ მხრით არც ინტელიგენციის მდგომარეობა განსხვავდება მაინც და მაინც წვრილი ბურჟუაზიის მდგომარეობიდან. მასაც ხშირათ გონია, რომ განსაკუთრებულ კლასობრივ ინტერესებს კი არა, მთელი საზოგადოების ინტერესებს ვემსახურებიო. ის ცდილობს დაამციროს და გადააფუჩეჩოს წინაალმდეგობანი და რადგან ასეთი ცდა ყოველთვის გაბატონებული კლასებისთვისაა სახელდახელო, ისინიც ობიექტიურათ ამ კლასების მდგომარეობას აძლიერებენ, თუმცა, ხშირათ, სუბიექტიურათ ეს არ სურთ. ამ მხრით ჩვენი ფედერალისტები როგორც წვრილი ბურჟუაზიის და განკერძოებული ინტელიგენციის პარტია—არ წარმოადგენენ გამონაკლისს.

ცხოვრებამ იმედები გაუცრუვა ფედერალისტებს. აღმოჩნდა რომ ეფისკოპოსები და სხვა ამგვარი ელემენტები ვერაფერი მებრძოლნი არიან. ეს კიდევ ადვილი ასატანი იქნებოდა სხვა ადგილზე რომ არ ელალატნა ბედს: ქართველმა შეგნებულმა პროლეტარიატმა უნდობლათ შეხედა ფედერალისტებს და, ავტონომია არ მოითხოვა. ეს მოვლენა ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა თავისებურათ ახსნეს. ისინი რასაკვირველია არ გამოდგომიან ობიექტიურ მიზეზების ძებნას, რომელიც ამ კლასის ეკონომიურ მდგომარეობაში მოინახება. ამის მაგიერ შექმნეს, ან უკეთ ვთქვათ, გადმოაქართულეს ძველი თეორია კრიტიკულათ მოაზრე პიროვნებისა. ფედერალისტების ლიდერების აზრით არსებობს ორნაირი სოციალური ტიპი: კრიტიკულათ მოაზრე პიროვნება, თავისუფალი, ფაქიზი გრძნობებით და სურვილებით გამსჭვალული ადამიანი და დოგმატიზმით გამსჭვალული ბრბო, რომელიც ერთხელ და სამუდამოთ გაზეპირებულ ფრაზებს უაზროთ იმეორებს. თუ მესამე დასელები ავტონომიას არ თხოულობენ, ეს იმით მოსდით, რომ ხეირიანათ არ ესმით თავისივე ინტერესები, რომ ისინი სექტანტობის წუმპეში არიან ჩაფლული და ავტორიტეტების ზედგავლენისგან ვერ განთავისუფლდებიან. ჩვენ ფედერალისტებს ვერ წარმოუდგენიათ, სხვა რით აიხსნება პროლეტარიატის წინააღმდეგობა თუ არა მისი სიბრიყვით და უმეცრებით. და რადგან უმეცრება ადვილი მოსარჩენი ავათმყოფობაა, მით უმეტეს თუ ისეთი კრიტიკულათ მოაზრე ექიმები გვყავთ, როგორიც არიან ბ.პ. გოგიჩაიშვილები, გ. რ.-ები და რამიშვილები, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პროლეტარიატსაც გაეხილება თვალები და ისიც შეუერთდება ავტონომისტების რაზმებს.

ფედერალისტების ზოგად მსოფლიო მხედველობასთან მჭიდროთაა შეკავშირებული მათი შეხედულება ნაციაზე და ნაციონალიზმზე. რა არის ნაციონალიზმი, რაში მდგომარეობს მისი შინაარსი, დედააზრი? ამ კითხვებს დიდი მნიშვნელობა აქვს ფედერალისტებისათვის და ისინი იძულებულნი იყვნენ გარკვეული პასუხი გაეცათ მათზე.

ჩვენთვის, «ბრმა ორტოდოქსებისათვის», ნაციონალიზმი ისტორიული კატეგორიაა: მას არ აქვს ადგილი არც პირველყოფილ, არც ფეოდალურ საზოგადოებაში, მას არ უნდა დაურჩეს ადგილი (რამდენათაც შეიძლება მომავალის გათვალისწინება) არც კოლლექტივისტურ საზოგადოებაში. ის წარმავალია: ისტორიამ, ანუ უკეთ ვსთქვათ, ეკონომიურმა განვითარებამ წარმოშვა ის ერთს საფეხურზე და გააქრობს მეორეზე. მისი შინაარსი განისაზღვრება კაპიტალისტური, კლასებათ დაყოფილი საზოგადოების ურთიერთობით: ნაციონალურ იდეას სხვადასხვა ნაირი აზრი და შინაარსი აქვს მიწათმფლობელთა, კაპიტალისტთა და მუშათა კლასებისთვის. ასე ვმსჯელობთ ჩვენ, «სექტანტები». ,,კრიტიკულათ მოაზრე'' პირები კი à la ,,კალამი'', რამიშვილი და K°., რასაკვირველია, ვერ შეურიგდებოდენ ასეთ შეხედულებას. ერთმა მათგანმა გვაუწყა რომ ,,სამშობლოს სიყვარული... არის საერთო გრძნობა და როგორც ასეთი, სდგას კლასობრივ ფსიხოლოგიაზე მაღლაო''. მეორემ, სახელდობ ბ. კალამმა კითხა თავის თავს, რა საფუძველი უძევს ნაციონალიზმს, რა ქმნის ეროვნებასო და გადაჭრით უპასუხა: ,,ნაციონალიზმს, ეროვნებას, გარდა სიყვარულისა, სხვა არავითარი საფუძველი არა აქვსო'', ხოლო ,,ეროვნებას, ეროვნულ გრძნობებს, ეროვნულ პრინციპს სიყვარული ქმნისო'' (ცნობ. ფურც. 2783). ამ გვარათ ფედერალისტების ბელადი ეროვნების და ნაციონალიზმის გენეზისს და ახსნას საზოგადოებრივ პირობებში კი არ ეძებს, არამედ ადამიანის შინაგან ბუნებაში. მაგრამ სიყვარული არ არის ისტორიული მოვლენა: ის, როგორც სიმშილის გრძნობაც, ბუნებისგან აქვს ადამიანს ჩანერგილი და ისტორიაში ნაკლებათ იცვლება. თუ ნაციონალიზმი და ნაცია სიყვარულის პროდუქტებია, როგორ ავხსნათ ის გარემოება, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში, ველურ ხალხებში არ არსებობს არც ერთი და არც მეორე, მიუხედავათ ამისა რომ სიმპატიას და სიყვარულს იქ უფრო მაგრათ აქვს გადგმული ფესვები, ვიდრე კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სადაც საზოგადოებრივი ინსტინქტი მიჩლუნგებულია მეტოქეობის და ბრძოლის წყალობით, სქესობრივი და დედობრივი სიყვარული კი ხშირათ დამახინჯებულია. რას გვიპასუხებენ ამაზე ,,კრიტიკულათ მოაზრე'' ფედელარისტები? შეიძლება იმათ გვითხრან, რომ ნაციონალიზმი სიყვარულის კი არა, სიყვარულის **განვითარების** პროდუქტიაო. მაშინ კი საკითხავია, რა იწვევს ამ განვითარებას, სად არის მიზეზის მიზეზი?

მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ასეთი წინააღმდეგობა მიუწდომელია ჩვენი კრიტიკულათ მოაზრე ,,ბელადებისთვის'': მათთვის ნაციონალიზმი ზეისტორიული კატეგორიაა, რომელიც არსებობს მას შემდეგ, რაც ღმერთმა ადამს და ევას ერთი მეორეს სიყვარული ჩაუნერგა და იარსებებს, სანამ ,,მეორეთ მოსვლა'' ჩვენ ამ ქვეყნიურ ცხოვრებას ბოლოს არ მოუღებს.

ვ.

*) იხ. გ. რ.: ,,კიდევ თვითმართველობის შესახებ'' „ცნ. ფურც.“ 19 ავგუსტ. 1905 წ.).

## კიდევ იერიში მარქსიზმის წინააღმდეგ.

მოგეხსენებათ, „მოგზაურის“ მკითხველნო, რომ ყოველ ბურჟუაზიულ იდეოლოგს თავის მოვალეობათ მიაჩნია მარქსიზმის „კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარება“. ამათ მიზანში ამოუღიათ ჩვენი მოძღვრება და სიტყვით თუ წერით — ჟურნალ-გაზეთებში თუ მრავალტომიან წიგნებში ყოვლად უდიერათ ეპყრობიან მას. ისე ხელს როგორ გაიქნევენ, ისე როგორ იტყვიან რასმე, რომ მარქსიზმი ლაფში არ ამოსვარონ. ბურჟუაზიულ იდეოლოგების ამ გვარი საქციელი დასავლეთ ევროპიელების ლიტერატურაში, როგორც წინადაც ვსთქვით, ახალი ამბავი არ არის; მათი კრიტიკა ისეთივე ხნიერია, როგორც თვით მარქსიზმი. ახლა, რამდენათაც მარქსის მოძღვრებამ ცხოვრებაში ნიადაგი მოიპოვა, რამდენათაც მის მიმდევრები რიცხვით გამრავლდენ, რამდენათ ისენი ბურჟუაზიულ კლასსისათვის საშიში და შემაძრწუნებელი შეიქმნენ, იმდენათვე უკანასკნელ კლასსის იდეოლოგების მიერ მარქსიზმის კრიტიკა ხშირი და ენერგიული შეიქმნა. დასავლეთ ევროპაში მარქსის მოძღვრების მიმდევარი პარტიები, როგორც აუცილებელათ მოსალოდნელია, პარლამენტებში მალე უძლიერესი პარტიები იქნებიან. ამათი პოლიტიკურ ძალის გოლიათური ზრდა-განმტკიცება საპარლამენტო კანონ-მდებლობაში, პოლიტიკურ და პროფესიონალურ ორგანიზაციების განვითარება, პროლეტარიატთა შორის სოლიდარობის გაღვიძება ბურჟუაზულ პარტიებს და მათ დამქაშ იდეოლოგებს შიშის ზარს სცემს. აქნობამდე დაქსაქსული და დანაწილებული სხვა-და-სხვა ბურჟუაზიული პარტიები, სხვა-და-სხვა ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებით, ერთდებიან, კავშირდებიან, მხარი-მხარს უჭერენ და მედგრათ გამოდიან, კომუნალურ თვითმართველობაში თუ პარლამენტში, საერთო მტერთან (სოციალ-დემოკრატებთან) საბრძოლველათ. გავიხსენოთ მაგალითისათვის თუნდაც გერმანიის ბურჟუაზიული პარტიების პარლამენტში და ლანდტაგებში მოქმედება, როგორ ხელ-ხელ ჩაკიდებულნი იბრძვიან დღევანდელ კაპიტალისტურ წეს-წყობილების უარ-მყოფელ—სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. და ეს ხდება არა მარტო გერმანიაში, არამედ ყველა პარლამენტარულ სახემწიფოებში, საცა კი სოციალ-დემოკრატიული პარტია ძლიერ ოპოზიციონურ ძალას წარმოადგენს.

მაგრამ ბურჟუაზიული პარტიების ამგვარი ფაცური უნაყოფოა—ის დრო ძალიან შორს აღარ არის, როცა ევროპის სახემწიფოებში სოციალ-დემოკრატია ხელთ იგდებს პოლიტიკურ დიქტატურას.

ჩვენში რაღას ვხედავთ? არსებითათ აქაც იმასვე, რაც ევროპაში, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ კლასთა ბრძოლა იქ დიდი მაშტაბით ხდება, აქ კი პატარათი. კაპიტალისტურ წარმოების წესის განვითარებამ ჩვენშიაც, როგორც აუცილებელი იყო, მთელი საზოგადოება ორ კლასათ გაანაწილა: ბურჟუაზია და პროლეტარიატი, რომელთა შორის გაჩენილია დაუნდობელი ბრძოლა. ბურჟუაზიამ ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, თავის მფარველ-მოსარჩლე იდეოლოგები გამოჩეკა, რომელთაც თავისებურათ აჭრიჭინებს. უკანასკნელნიც თავიანთ მხრივ არ ზოგავენ არავითარ ძალას, ოღონდ კი პირველთ რიგიანი მფარველობა გაუწიონ, თავიანთ მომავლინებელ კლასსის ინტერესები დაიცვან. მიზნის მისაღწევათ ხან ფილოსოფიას მიახტებიან, ხან სხვა მეცნიერებას, თუ საჭიროა-თეოლოგიასაც კი, ოღონდ ბურჟუაზიულ წეს წყობილების უარ-მყოფელი კლასსის (სოციალ-დემოკრატიის) მოძღვრება და მათი იდეოლოგები დააფოლონ, სახელი გაუტეხონ, არარათ გაჰხადონ. ჩვენ საყვარელ ბურჟუა-იდეოლოგების ამგვარი თავაზიანობა დღეს ჩვენებურ პროლეტარიატისთვის თითებზე ჩამოსათვლელი აღარ არის; ხედავს პროლეტარიატი თავის წინ ამართულ ბურჟუაზიულ კლასს თავის **გაწკეპილ** ჟურნალ-გაზეთებით, საცა თითქმის ყოველ დღე სისტემატიურათ „აკრიტიკებენ“ მის სასიცოცხლო პროგრამას. და როცა ვინმე ჩვენგანი გაბედავს და ამ ჯურის ვაჟბატონებს ბურჟუა-იდეოლოგების სახელით მონათლავს, მაშინვე მედიდურათ განრისხდებიან და საპასუხოთ ლანძღვის ქაფით გაიღორბლებიან. ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ ,,მოგზაურის‘‘ მე-28 ნომერში გავბედეთ და ,,ცნობის-ფურცლის‘‘ ერთ მეფელეტონეს ბ. გ. კ. ბურჟუაზიული იდეოლოგი ვუწოდეთ. ამ ამბავს ისე გაუცეცხლებია ბ. გ. კ., რომ დავთრები სულ მთლათ არევია და მოყოლია იმავე გაზეთის 28 სექტემბრის ნომერში ,ფილოსოფიურათ‘‘ ბოდვას. თუ რა მარგალიტები გამოაგოგმანა ბ. გ. კ.-მ, ამაზე ,,მოგზაურის‘‘ მკითხველებს შემდეგში მოველაპარაკებით. ახლა მხოლოთ ერთ რასმე შევნიშნავთ თვით ბ. გ. კ.-ს: კერძო ცხოვრებიდან ფაქტების გამჟღავნება თუ საკადრისი იყოს, ჩვენც ერთხელ თქვენსავით ნამუსზე ხელს ავიღებდით, და თქვენ ცხოვრებიდამ ბევრ რასმე გამოვფენდით საზოგადოების წინაშე; მაგრამ ჩვენ ამას არ ვიკადრებთ, რადგან ამნაირი საქციელი ჯერ თავის თავის და მერე მკითხველის შეურაცხყოფათ მიგვაჩნია.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენ საგანს. ჩვენი მოწინააღმდეგეები ჯერ მოგვდგენ და მარქსის და კაუცკის ციტატებით ზურგზე მტვერი აგვადინეს, ე. ი. მარქსის და კაუცკის აზრები მარქსის და კაუცკის სიტყვებითვე გააბათილეს. ეს აღარ გვაკმარეს და ახლა სხვაგვარი სარმა გამოგვკვრეს. აიღეს და ერთ თავიანთ ორგანოში, სახელდობ გაზეთ ,,ივერიის‘‘ მე-175 ნომერში ედუარდ ბერნსტეინის წერილით ერთი უშველებელი, ათსვეტიანი, ფელეტონი გამოჭედეს, რომელშიაც ავტორი ,,არღვევს‘‘ მარქსის სხვა-და-სხვა თეორიულ მოსაზრებებს, როგორიცაა მაგ. კაპიტალის კონცენტრაცია, გაღატაკების და კრიზისების თეორია. ამავე წერილში ედ. ბერნსტეინი კაუცკის ,ერფურტის პროგრამას‘‘ აბათილებს.

ედუარდ ბერნსტეინი თავის უკანასკნელ წერილში ახალს არას ამბობს. ამ წერილში მოყვანილი მარქსის და კაუცკის საწინააღმდეგო მოსაზრებანი უკვე ასჯერ და ათასჯერ გამოთქმულა ბურჟუაზიულ ეკონომისტების მიერ მრავალ ტომებში, უთვალავ ჟურნალ გაზეთობაში, ასე რომ ბერნსტეინმა ახალი ვერაფერი აუწყა ვერც საზოგადოებას და ვერც თვით კ. კაუცკის.

გარდა ამისა განა თვით ბ. ბერნსტეინი ამ თეორიულ საკითხებს პირველათ ეხება? არა, ის დიდი ხანია რაც მარქსიზმის კრიტიკას შეუდგა და ამ სოციალ-დემოკრატმა (?) სოციალ-დემოკრატიის მოძღვრების კრიტიკას შეალია თავისი ძალ-ღონე. რასაკვირველია არც ორტოდოქსებს ეძინათ და ბერნსტეინის ყოველ კრიტიკას საწინააღმდეგო კრიტიკითვე უპასუხებდენ. არას ვიტყვით ბერნსტეინის დებატების შესახებ პარტეიტაგებზე, სადაც ბერნსტეინის არგუმენტაციებს ყოველივე გასავალი მოუსპეს. რამდენიმე წიგნი დაწერილა რევიზიონისტების საწინააღმდეგოთ (კაუცკის, ბებელის, პარვუსის, ლიბკნეხტისა და სხვებ.), ბევრიც დაწერილა ჟურნალ-გაზეთებში და ურიცხვი სიტყვაც წარმოთქმულა ბერნსტეინიზმის წინააღმდეგ გერმანიის ქალაქებში, სახალხო კრებებზე. მაგრამ ყველა ამაებს არ დასჯერებია ბერნსტეინი და ხელ-ახლათ დაუწყია კაუცკის ,,ერფურტის პროგრამის‘‘ და მარქსის კრიტიკა.

ახლა ედუარდ ბერნსტეინის საპასუხოთ მოკლეთ ვიტყვით მხოლოთ იმას, რაც ასჯერ და ათასჯერ თქმულა და დაწერილა რევიზიონისტების წინააღმდეგ ცნობილ ორტოდოქს მარქსისტების მიერ.

გაზ. ,,ივერიაში'' მოთავსებულ წერილში ბერნსტეინი გვერდს უვლის მარქსის ღირებულების თეორიას და ისტორიულ მატერიალიზმს და მხოლოთ პატარა კრიტიკულ შენიშვნით კმაყოფილდება. შემდეგ გადადის მისგან მრავალჯერ წამებულ დოქტრინებზე; კაპიტალის კონცენტრაციაზე, გაღატაკების და კრიზისების თეორიაზე.

ჩვენ აქ პირველ ორ თეზისს (ისტორიულ მატერიალიზმს და ღირებულობის თეორიას) არ შევეხებით, ამაზე თუ შემთხვევა მოგვეცა მკითხველებს შემდეგში მოველაპარაკებით; კაპიტალის კონცენტრაციაზე და გაღატაკების თეორიაზე სულმოკლეთ ვიტყვით, რადგან ჩვენ ამ საკითხებზე ორტოდოქსების აზრი ,,მოგზაურის'' მე-№ 4, 6, 28 და 32 ნომრებში გვქონდა გამოთქმული, ხოლო კრიზისების თეორიაზე კი ცალკე წერილში ვილაპარაკებთ, ვინაიდან დასახელებულ თეორიაზე, რევიზიონისტები წერილობით ლეგენდარულ ხმებს ავრცელებენ.

ა) **კაპიტალის კონცენტრაცია.** ბერნსტეინის მიერ კაპიტალის კონცენტრაციაზე საწინააღმდეგო არგუმენტაციები იმის გამომთქმელია, რომ კლასსობრივი დიფერენციაცია ისე სისწრაფით არ ხდება, როგორც იგი განმარტებულია მარქსის კაპიტალში, ვინაიდან საშუალო კლასი წვრილი გლეხობა და წვრილი ინდისტრიული ხელოსნები ჯერ კიდევ ბლომათ არიან და შემდეგშიაც იქნებიან, ესენი კი კლასსობრივ ანტაგონიზმს აყუჩებენ, კაპიტალის კონცენტრაციას აფერხებენ. რომ ნათლათ გავიგოთ ბერსტეინის აზრის სიყალბე, საჭიროა მარქსის დედა აზრი ,,კაპიტალის კონცენტრაციაზე'' მოკლეთ მაინც მოვიყვანოთ. მარქსი ამბობს: რამდენათაც ეკონომიური ცხოვრება ვითარდება, იმდენათ ქონებრივი სიმდიდრე მინორიტეტის (უმცირესობის) ხელში გროვდება, დიდი მაიორიტეტი (უმრავლესობა) კი ღარიბდება, ხელიდან ეცლება საწარმოვო იარაღები, და ეს უმრავლესობა იძულებული ხდება თავის სამუშაო ძალის გაყიდვით ირჩინოს თავი; ერთი სიტყვით, რაც დრო გადის, იმდენათ მასსა (უმრავლესობა) უმცირესობიდამ ეკონომიურად დამოკიდებული ხდება. აი, მოკლეთ მარქსის კაპიტალის კონცენტრაციის დედა აზრი. და მერე განა ეს (კაპიტალის კონცენტრაცია) სტატისტიკურ ცნობებით კი არ არის დამტკიცებული!

ჩამოვწერ 1900—1901 „Neue zeit-ში მოყვანილ სტატისტიკურ ცნობებს.

გერმანიის მცხოვრებთა შეძლების დაგვარათ დანაწილება:

| | საერთოთ | ინდუსტრიაში. |
|---|---|---|
| a) დამოუკედებელი (შეძლ. კლას. | 0,74% | 0,83% |
| b) საშუალო კლასსი . . . . . | 31,32 ,, | 14,58 ,, |
| c) შეუძლებელი კლასსი . . . . | 14,63 ,, | 16,04 ,, |
| პროლეტარიატი . . . . . . | 53,31 ,, | 68,55 ,, |

როგორც ვხედავთ, გერმანიის სახემწიფოს მმართველ-კაპიტალისტთა კლასსი გერმანიის მცხოვრებ ერთ სრულ პროცენტსაც არ შეადგენს, მაშინ როცა დაქირავებულ მუშათა (პროლეტარიატის) რიცხვი მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენს; თუ რომ ამ რიცხვს დაუმატებთ შეუძლებელ კლასთა რაოდენობასაც, რომლებიც თავიანთ ეკონომიურ მდგომარეობით არაფრით არ განსხვავდებიან პროლეტარებისაგან და მხოლოთ მთავრობის სტატასტიკოსების მიერ განგებ გამოყოფილი არიან, ყველა მცხოვრებთა ორ მესამედზე მეტს შეადგენენ. ინდუსტრიაში პროლეტარიატი მცხოვრების ორ მესამედზე მეტია თუ ამათ რიცხვს შეუძლებელ კლასსთა რაოდენობა დაუმატეთ, მაშინ ორივენი ყველა მცხოვრებთა ოთხ მეხუთედზე მეტი იქნება, **თითქმის 85 პროცენტი.**

როგორც სჩანს კაპიტალს კონცენტრაცია, ე. ი. უმცირესობის გამდიდრება და უმრავლესობის გაპროლეტარება ფაქტიურათ ხდება. თუ ამას იქით ეკონომიური განვითარების ტენდენცია ძველ გზას შესცვლის, თუმცა ჯერ-ჯებობით არავითარი საბუთი არ გვაქვს რომ ასე ვიფიქროთ, მაშინ გამარჯვება ბერნსტეინისკენ იქნება და ჩვენ სხვა აღარა დაგვრჩება-რა, რომ სამართლის წინ მოწიწებით ქედი მოვიხაროთ. მანამდის კი გულადათ ვიტყვით: კაპიტალის კონცენტრაცია ხდება ისე, როგორც ეს „კაპიტალშია“ გარკვეული.

ბ) **გაღატაკების თეორია** როგორც ბერნსტეინს წარმოუდგენია, ვითომ პროლეტარიატი რაც დრო გადის თან და-თან უფრო ღატაკდება, ბეჩავდება, ზნეობრივათ და ფიზიკურათ დაბლა ეშვება არა დროს არც მარქსს და არც მის მიმდევრებს არ ესმოდათ. აი როგორ უნდა ვუყურებდეთ ამ თეორიას: კაპიტალის იმანენტიური კანონია, რომ ღირებულება გაიდიდოს, უმრავლესობა გაღატაკოს, გაპროლეტაროს, დამოკიდებული გახადოს. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამგვარი დამოკიდებულობა დღითი-დღე იზრდება, იზრდება ამასთან ერთად მასსის ცხოვრების უიმედობა. მეორე მხრივ იზრდება მუშათა ორგანიზაციები, მუშათა კლასის შეგნება, რომლებიც განწირულათ იბრძვიან დღევანდელ წეს-წყობილების დასანგრევათ. კაუცკი ამბობს: მართალია კომინისტურ მანიფესტში კაპიტალისტურ წარმოების დამაბეჩავებელი მომენტები უფრო აშკარათ იხატება, ვიდრე კაპიტალში, მაგრამ ეს არ არის პრინციპიალური განსხვავება, ეს მხოლოთ იმის დასამტკიცებლი საბუთია, რომ მარქს-ენგელსმა ფაქტიურ პირობებს ანგარიში გაუწიესო... აქ არავითარი აზრთა წინამდეგობა არ არის მანიფესტსა და კაპიტალის შორის (თუ არსებობს წინააღმდეგობა მხოლოდ ფაქტებში- 1847 წ., როცა კომუნისტური მანიფესტი დაიწერა, მაშინ მუშა მართლა პაუპერი (ღატაკი) იყო, პროლეტარიატს დეკრადაცია ემჩნეოდა; მაშინ ჯერ არ არსებობდა ათი საათის სამუშაო დღე, მუშათა მოძრაობა მხოლოთ მაშინ ჩაისახა პირველათ და აი ამისათვის მარქს-ენგელსმა სრულიათ სამართლიანი აზრი გამოთქვეს. დიახ, თანამედროვე ეკონომიურმა განვითარებამ, სტატისტიკამ, განსაკუთრებით შემოსავლისამ მარქსის გაღატაკების თეორია აბსოლიუტურათ დაამტკიცა.

**ლ. ახმეტელაშვილი.**

## ოფიციალური ცნობა.

2 ოქტ. პეტერბურგში გამოასვენეს გვამი მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორათ ყოფილის თავ. ტრუბეცკოისა დიდის მთავრის, ელენე პავლეს ასულის სახელობის კლინიკიდან, რომელიც კიროჩნი ქუჩაზე იმყოფება. გვამი ნიკოლოზის სადგურზე უნდა მოესვენებინათ. რადგანაც გავიგეთ, რომ დემონსტრაციის მოხდენას აპირობდნენ, წინდაწინვე ყოველი ზომები ვიხმარეთ წესიერების დასაცველად. კუბოს რამდენიმე ათასი სტუდენტი, კურსისტკა და მუშა მისდევდა. წესიერებას იცავდნენ თვით სტუდენტები, რომელთაც წრე გაეკეთებინათ. კორტეჟს განცალკევებით მისდევდა დიდი ჯგუფი მოწაფეთა და მუშებისა. სუვოროვის პროსპექტზე რომ გავიდნენ, ამ ჯგუფში მარსელიეზის სიმღერა დაიწყეს. ამასთანავე ერთმა მათგანმა დანით მსუბუქად დასჭრა ფეხში ჟანდარმის ოფიცერი. სტუდენტებისა და პოლიციის თხოვნით მარსელიეზას სიმღერა შესწყვიტეს, მაგრამ ზნამენის მოედანზე კვლავ მარსელიეზას ხმა გაისმა. როდესაც თავადის გვამი ვოგზლის ეზოში შეასვენეს ზნამენის მოედანზე მოისმა სტვენა-ყვირილის ხმა, იქვე ვილაც უცნობმა რევოლვერი დასცალა, თუმცა ვნება არავისათვის მოუტანია. ამის გამო ცხენოსანი პოლი-

ციელნი და ჟანდარმები იძულებულნი შეიქმნენ ხალხი გაეფანტათ. ჟანდარმებმა ხმლები იშიშვლეს, მაგრამ კი არ უხმარნიათ. როდესაც მატარებელი წავიდა, რომელზედაც ტრუბეცკოის გვამი ესვენა, ეგზეკვიიდან გამობრუნებულმა ხალხმა — ასე ორი ათასამდე კაცმა — კვლავ მარსელიეზა შემოსძახა და ნევის პროსპექტისაკენ გასწია. ზნამენის მოედანზე ერთი ნაწილი კი ისევ დემონსტრაციულად მიდიოდა ქუჩაზე, მღეროდა და წითელ დროშებს აფრიალებდა. გამოწვეულმა ცხენოსანმა ჯარმა, პოლიციელებმა და ჟანდარმებმა ხალხი დაფანტეს. ყაზანის ტაძართან ხალხმა პოლიციასა და ჟანდარმებს დაუშინა ქვები, ჯოხები, ცოცხები და სხვა ამგვარები. პოლიციის ხიდთან ჟანდარმთა დივიზიის ერთ აფიცერს ქვით თავი გაუტეხეს. ამას გარდა ქვით დაშავებულ იქმნა 7 ჯარის კაცი ამავე დივიზიონისა. ნევის პროსპექტიდან დემონსტრანტები, ჯგუფ ჯგუფად უნივერსიტეტისაკენ წავიდნენ, გაიარეს სასახლის ხიდი და უნივერსიტეტთან მოგროვდნენ და უნივერსიტეტის შენობაში შესვლისა სცდილობდნენ. აქა-იქ გამოჩნდა წითელი დროშები, ხალხი უსტვენდა, ხოლო, როცა მიმავალი პოლიციელები დაინახეს, ყიჟინა დასცხეს და ქვები დაუშინეს. ორ გარადავოის თავი გაუტეხეს. ცხენოსანი პოლიციელები იძულებულნი შეიქმნენ ხმლები ეშიშვლებინათ და ხალხი დაეფანტათ, ხალხის ერთი ნაწილი კი უნივერსიტეტის აუდიტორიაში შეცვივდა. მძიმედ დაშავებული არავინ აღმოჩნდა, ხოლო ზოგიერთა დაშავებულთა საჩივრისა გამო გამოძიება სწარმოებს.

## სხვა და სხვა ამბები.

უკანასკნელ კრებაზე კობეკოს კომისიამ თერთმეტი ხმის უმეტესობით ოთხის წინააღმდეგ დაადგინა, პრესსის საქმეების შესახებ დღევანდელი მთავარი გამგეობა დასტოვონ და შესცვალონ მხოლოთ მისი ფუნქცია. რადგანაც წინასწარი ცენზურის მოსპობით ყურის გდება საჭირო აღარ იქნება, საჭიროა მხოლოდ თვალყური ადევნოს სისხლის სამართლის ახალ კოდექსს დამნაშავეთა სასამართლოში მისაცემათ. პრესის ყურის საგდებლად განზრახულია 42 ქალაქში დაარსონ სხვა და სხვა დაწესებულებანი და დააყენონ კაცები. დაწესებულებებს დაერქმევა კომიტეტები, კაცებს—ინსპექტორები. კომისიის აზრით, პრესსის დანაშაულობისთვის ერთი წლის ხანგასულობა უნდა დაინიშნოს. პერიოდიულ გამოცემებში ხელმოწერილ წერილების პასუხს აგებენ ავტორები და რედაქტორები. სარწმუნოების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობა გარდაეცემა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, დანარჩენნი—სახელმწიფო სასამართლოს. კომისიის გამოკვლევანი წარედგინება მინისტრთა საბჭოს, შემდეგ საბჭო წარუდგენს სახელმწიფო სათათბიროს.

— კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო პ. მირიანაშვილს ქ. ტფილისში ქართულ ენაზე გამოსცეს ყოველ დღიური გაზეთი. გაზეთს სახელად „პატარა გაზეთი“ ერქმევა.

— რკინის გზის აგენტების მოსამზადებელ სკოლაში ამ დღეებში მოვიდა რამდენიმე მღვდელი და სკოლაში მიღება სთხოვა. სასწავლებლის გამგემ მოხუც მღვდლებს უარი უთხრა, ახალგაზრდა მღვდელი გ. ოქროპირიძე კი მიიღო.

— კავკასიის რკინის გზის გამგეობა გზათა მინისტრის წინაშე შუამდგომლობს, მიეცეს მას სესხათ 75 ათასი მანათი იმ მუშების დასაჯილდოვებლად, რომელთაც უკანასკნელ გაფიცვაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

—ბალახანაში, 6 ოქტომბერს, ნავთის მწარმოებელთა საავადმყოფოს ეზოში მუშებმა ნაგვის ქვეშ იპოვეს ორი გატენილი ყუმბარა მაკედონიის ტიპისა, ამის შემდეგ ჟანდარმებმა მთელი ეზო გაჩხრიკეს და მიწაში ჩაფლული დიდძალი პატრონები და თოფის წამალი იპოვეს.

— არეულობის გამო, ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით, ჭიათურაში ჯარი გაიგზავნა.

— მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ რამდენისამე ხნის წინათ მუშტაიდში ვიღაცამ რევოლვერით დასჭრა მეათე საპოლიციო ნაწილის უბნის ზედამხედველი სანიკიძე. სანიკიძე მაშინ ჭრილობას გადარჩა. გუშინ, 7 ოქტომბერს, სანიკიძეს ყუმბარა ესროლეს. დილის 10 საათსა და 20 წუთზე სანიკიძე სადოვოი ქუჩით მიდიოდა პოლიციის მე-10 ნაწილში. როცა იგი მადერის ასოთ-ჩამოსასხამ ქარხანას გაუსწორდა, ვიღაცამ გადაისროლა ყუმბარა, რომელიც სანიკიძიდან რამდენიმე არშინის მანძილზე გასქდა. ერთი ნატეხი სანიკიძეს ყბაში მოხვდა და დაჭრა. სანიკიძეს დაუნახავს, რომ ყუმბარის მსროლელი მანდენოვის სახლის ეზოში შევარდნილა, ამიტომ დაედევნა და ორჯელ ესროლა რევოლვერი, მაგრამ ააცდინა. უცნობი მალე დაიმალა. ყუმბარამ დაჭრა შემთხვევით გამვლელი ერთი დედა-კაცი, ხოლო მეორეს ტანისამოსი შემოახია. ახლო სახლების ფანჯრები მთლათ მილეწ-მოლეწა. სხვა უბედურება ყუმბარის გადასროლას არა მოყოლიარა. ეს ამბავი მაწრაფლ გაიგო პოლიციამ, გაჩნდა ჯარი და მთელი უბანი დაიჭირა. ეჭვი მიიტანეს ერთ მედუქნესთან მყოფ ორ კაცზე და დააპატიმრეს.

— როგორც გორიდან გვატყობინებენ, იქ 5 ოქტომბერს შეიპყრიათ სადგურ სუმბათოვის ტელეგრაფის მოხელე იროდიონ ხმალაძე, რომელიც პროპაგანდას ეწეოდა ჯარში.

— ხმა დადის, რომ ამ დღეებში სოფ. ალში სასიკვდილოთ დაჭრეს ადგილობრივი მევახშე და მემამულე ბატონკა ჯანოევი.

— პეტერბურგის გრადონაჩალნიკისაგან: «3 ოქტომბერს გაფიცვები დაიწყო სტამბებში მოსკოვის ასოთ-ამწყობებისათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად და მათ მოთხოვნების გასაყვანად. ზოგან თვითონ მესტამბეებმა ითავეს მუშაობის აღკვეთა. ოფიციალურ გამოცემების სტამბები პოლიციის დაცვის ქვეშ მუშაობენ. გაფიცულები წესიერად იქცევიან.

4 ოქტომბერს, დილის 7 საათ. ექსპედიციის მუშებმა გაავსეს ეზო და რიესკი პროსპექტის ახლო-მახლო ადგილები. ადმინისტრაციამ უთხრა: ან მუშაობა დაიწყეთ, ან აქედან წადითო. ხალხი არ იშლებოდა. ქვეითების ერთმა როტამ გააძევა იგინი ეზოდან, ათი მუშა დაშავდა და ექსპედიციის საავადმყოფოში დააწვინეს. ქუჩაში ხალხი გაჰფანტა ცხენოსანმა და ქვეითმა პოლიციამ.

4 ოქტომბერს, დღის 12 საათ. ნევის გემების საშენებელ ქარხნის მუშებმა მუშაობა აღკვეთეს და ქუჩებში გამოვიდნენ. ერთმა ნაწილმა, ასე 300-მდე კაცმა, რევოლუციონიურ სიმღერებით, ძალით შეაწყვეტინა ამხანაგებს საქმე სამს მეზობელ ფაბრიკაში. ცხენოსან პოლიციასა და ყაზახ-რუსებს ქვებითა და რევოლვერების სროლით მიეგებნენ მუშები. ერთი შენობის ნანგრევიდან რამდენჯერმე გაისროლა ვიღაცამ ტყვია. ყაზახ-რუსებმაც გაისროლეს. როცა მოსაღამურდა, მუშებმა ჩაამტვრიეს 30 ფანარი და არაყის დუქნის განადგურება მოინდომეს. მუშების გაფანტვის დროს მსუბუქად დაშავდა ქვებით ორი აფიცერი, ერთი ყაზახ-რუსი და მძიმედ დაიჭრა თავში ერთი ურიადნიკი; მსუბუქათ დაშავდნენ აგრეთვე პოქაულის თანაშემწე და გოროდოვოი.

6 ოქტომბერს ასოთ-ამწყობებმა შესწყვიტეს გაფიცვა და 7 ოქტომბერს დილით განაახლეს მუშაობა.

5 ოქტომბერს დილით სახელმწიფო ქაღალდების ექსპედიციის შენობის ეზოში შეიკრიბნენ წინა დღით გაფიცული ასოთ-ამწყობები და არ უშვებდნენ დანარჩენ მუშებს სახელოსნოებში სამუშაოდ. მიუხედავად იმისა, რომ მმართველის თანაშემწე ემუდარა, ხელს ნუ შეუშლით მუშაობის მსურველებსო, მუშები თავისას მაინც არ იშლიდნენ. მაშინ შეიყვანეს ერთი როტა სალდათი ეზოში, აფიცერმა უბრძანა ხელში თოფები მოემზადებინათ და გაეძევებინათ ეზოდან მუშები, ატყდა ჩოჩქოლი, მუშები ვერ გაეტივნენ ეზოს ვიწრო ჭიშკარში და რამდენიმე, სახელდობრ, სამი მსუბუქად გაიკაწრა, 6 ფეხებ ქვეშ მოჰყვა და გაითელა, ორი დაშავდა. ყველა დაჭრილი ექსპედიციის საავადმყოფოში იმყოფება. საღამოს 4 საათზე, ექსპედიციის შენობაში შესდგა სხდომა მუშების დეპუტატებისა საპენსიო კასის საკითხის შესახებ. ხვალ გააგრძელებენ სხდომას. გამოკიდულია განცხადება, რომლითაც ხუთშაბათისთვის მუშაობაზე უნდა იყვნენ.

## შენიშვნები.

### I.

### ხმოსნებში.

29 აგვისტოს უბედური ღამე დაუვიწყარი იქნება ჩვენ საზოგადო ქრონიკაში. დაუვიწყარია იგი იმ ღამეს დანთხეული უმანკო სისხლით; დაუვიწყარია როგორც ერთი უბედური, მაგრამ ჩვენი დროის დამახასიათებელი მოვლენა; დაუვიწყარია, როგორც უმწვერვალესი სისასტიკის ნიმუში და ყველა ეს მხარეები იმდენათ საინტერესო და ღირს-აღსანიშნავია, რომ ყოველ მათგანზე შეიძლება მთელი გამოკვლევის დაწერა, მაგრამ დღეს ამ მხრიდან კითხვას ვერ მივუდგებით. კიდეც რომ მოხერხდეს ჯერ მაინც შეუძლებელია ამაზე გულ-დამშვიდებით ლაპარაკი. ჯერ კიდევ ყველას თვალწინ გვიდგას ეს საშინელი შემთხვევა, და არა მგონია ბევრი ჯერაც დარწმუნებული იყოს მის სინამდვილეში. და თუ კი რასმე გვეუბნება ამის შესახებ ჩვენი გონება მხოლოთ იმას, რომ დღესაც და ხვალაც 29 აგვისტოა. ამიტომ თუ ამ უბედურ დღეზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი არა იმისთვის, რომ ჩვენი სუსტი კალმით პატივი ვცეთ და მოვიგონოთ უდროოვოთ დაკარგულნი—სად არის ისეთი კალამი, რომელსაც ღირსეულათ შეეძლოს უმანკო მსხვერპლთა შემკობა! მათი შემმკობი ჯერ მაინც მხოლოთ მათივე უმანკოებაა და შევწყვიტოთ ამაზე. აქ ჩვენ გვინდა მხოლოთ ერთ-ერთ მასთან დაკავშირებულ მოვლენას მივაქციოთ ყურადღება. მთელი საზოგადოება შეაშფოთა ამ „სისხლის ღამემ" და ვისაც როგორც შეეძლო ისე გამოსთქვა თავისი მწუხარება და თანაგრძნობა. სხვათა შორის ჩვენმა „ქალაქის მამებმაც" ერთი მხრით ამ უმანკო მსხვერპლთა პატივსაცემათ, მეორე მხრით კიდევ იმ პირობებზე ყურადღების მისაქცევათ, რომელთაც იგი გამოიწვიეს და უკანასკნელთა დასაგმობათ, გადაწყვიტეს სამსახურიდან გადადგომა და თან განმარტეს, რა მიაჩნიათ საჭიროთ, რომ ხელ-ახლა შესაძლებელი გახდეს ქალაქის თვითმართველობაში მოღვაწეობა. როგორც ეს გადაწყვეტილება, ისე მათი მოთხოვნანი მეტათ სასიამოვნოთ დაგვირჩა, რადგან ვფიქრობდით, რომ ეს იყო კეთილშობილური გრძნობის ნაყოფი; გვეგონა, დაიწყო ხანა ჩვენი მოწინავე ბურჟუაზიის მოქმედებისა. მართალია, მეტათ ძვირი საფასურით იყო ნაყიდი ხალხის მხრით ეს სოლიდარობა ბურჟუაზიისა, მაგრამ მაინც სოლიდარობა იყო, და „კეთილი იყოს" მეტი არაფერი გვეთქმოდა. სამწუხაროთ, ეს კეთილშობილური გატაცება მხოლოთ წუთიერი გამოდგა. არა შეჯდა მწყერი ხესა არა იყო გვარი მისიო, ნათქვამია ძველთაგან, და ეს თქმულება ჯერაც არ დაძველებულა. ჩვენ ბურჟუებსაც ამ მწყერის არაკი მოუვიდათ. გაიარა გატაცებამ, გაიარა შიშმა, მორიდებამ და შეუდგენ არშინითა და ჩოთქით ზომვას და წონას. კი მივდივართ, მაგრამ ქალაქის ქონებას ვის ვუტოვებთ, რა მოუვათ ჩვენი წასვლის შემდეგ მცხოვრებლებს, ვინ ასმევს წყალს, ვინ აჭმევს პურს *), ვინ გაუნათებს ქუჩებსო და მისთანები. შეიქნა თათბირი—წავიდეთ თუ დავბრუნდეთო? ყველას პირზე ხალხის, მცხოვრებლების და ქალაქის ინტერესები ეკერა. ყოველი მათგანი ყველაზე ზრუნავდა თავის-თავის გარდა! და ეს, როგორც ვთქვით, მას შემდეგ რა რომ გავიდენ, სამსახურს თავი დაანებეს. მერე რა ახალი გარემოება გამოტყვრა ისეთი, რომ თქვენი დადგენილების შეცვლას აპირებთო, ეკითხებოდენ ზოგიერთი უფრო მტკიცე ხასიათის ამხანაგები დაბრუნების მოსურნეთ, რა მოგვცეს, რა შეგვიცვალეს, რომ ბრუნდებითო. სწორეთ იმიტომაც უნდა დავუბრუნდეთ, რომ არაფერი მოგვცეს და არაფრათ ჩაგვაგდესო, ამბობდენ „გონიერები". ჩვენ პროტესტი იმით უნდა გამოვაცხადოთ, რომ ადგილიდან არ დავიძრათ, აი ნამდვილი პროტესტი ეს იქნება, თორემ, წასვლით ხომ იმას ვასიამოვნებთ, ვისაც გვინდა ვაწყენინოთო. ასეთი იყო აზრთა მიმდინარეობა "გონიერების" თავში. დავფიქრდი და კვლავ გავიმეორე: „არა შეჯდა მწყერი ხესა არა იყო გვარი მისი"-მეთქი. მართლაც და მე მგონია მხოლოთ მე მოვტყუვდი მათი გატაცებით. როგორ დამავიწყდა, რომ **მათი წარმოდგენით** ქვეყნიერება იმათ ბეჭებზეა დაყრდნობილი, მათით ბრუნავს დედამიწა მათით ანათებს მზე, და თუ იმათ სისხლით მორწყული დარბაზი დატოვეს, მაშინ ხომ მზეც დაბნელდება და მთვარეც! მაგრამ ესეც რომ არ იყოს განა ჩვენკი არ ვიცით რომ ბურჟუაზია ყოველთვის ორპირ მდგომარეობაშია!... საკვირველია მხოლოთ, რომ ამ განმათავისუფლებელმა მოძრაობამაც ვერავითარი გავლენა ვერ იქონია მათ ინტელიგენტურ თავზე! ნუ-თუ, ვერ წარმოუდგენიათ, რომ ზოგჯერ „თქმა ჯობს არა თქმასა"! ნუ თუ ვერ გაიგეს ის, რაც მთელმა საზოგადოებამ გაიგო, ვერ გაიგეს, რომ დღეს სხვა დრო არის, ხალხიც სხვა უფრო მაღალი აზრით და იდეალით იკვებება და თუ მის აზრზე მიდგება საქმე, იგი პირველი პროტესტანტია! მისი თანაგრძნობა ყოველთვის იმათკენ იქნება, ვინც ძლიერი **სიტყვით მაინც** დაგმობს დროს გადასულ პირობებს. ვამბობთ სიტყვით, რადგან საქმით ამ ტიპის ბურჟუები ვერ შესძლებენ ფეხდაფეხ მიყვენ ხალხს. მართალია, მათ ყოველთვის მოაქვთ თავი მოწინავეობით, მაგრამ ეს მოწინავეობა მხოლოთ სიტყვიერია და მათდა სამწუხაროთ ცხოვრებამ იმდენათ გაუსწრო მათ ფრაზეოლოგიასაც კი, რომ დღეს თვით გრძნობენ ჩამორჩენილობას. სამწუხაროა მხოლოთ, რომ შეგნებით მაინც ვერ შეიგნეს თავისი მდგომარეობა; დღეს ისეთი დროა რომ ძველებურათ ორ სკამზე ჯდომა შეუძლებელია—ან მარცხნივ ან მარჯვნივ აი რაა საჭირო! ამიტომ, მეტია დღეს ხალხისა და მცხოვრებლების ინტერესებზე ლაპარაკი და პრტყელ-პრტყელი ფრაზები. თუ მეტი არ შეგიძლიათ, ახალს მაინც გზა უტიეთ და თქვენგან ესეც ვაჟკაცობა იქნება. ნუ შიშობთ ქალაქის ინტერესებზე, იგი თქვენზე უკეთ ესმის თვით მცხოვრებლებს და თუ მის შელახვას დააპირებს ვინმე, მას ხალხთან ექნება საქმე; იგი იქნება მისი პასუხის მომთხოვნელი და ეს ბევრათ უფრო სერიოზული საქმეა, ვიდრე თუნდაც ოთხმოცი ინტელიგენ-

*) კარგი რომ ხორციც არა თქვეს!

შენიშვნა მოქალაქისა.

ტისაგან შემდგარი საბჭო. მაგრამ ეს ხომ იდეალიზმია, და თქვენ კი ქალაქის ქისაზე ლაპარაკობთ—თქვენ გაშინებს ყოფილი ნოტარიუსების და კაპიტნების არჩევა! გარწმუნებთ, არც ეს არის დიდათ საშიში, ამასაც მოუვლის თავს ხალხი, თუ მართლა ისე წავიდა საქმე, როგორც თქვენ ელით. შესაძლებელია კიდეც რაიმე მცირე ზარალი, მაგრამ იმ ზნეობრივ გამარჯვებას რა დაედრება, რომელიც თუნდ თქვენ უმნიშვნელო გადადგომასაც შეუძლია მოიტანოს! მართლაც, ვინ იქნება ისეთი უგუნური, რომ ერთი წამით მაინც არ შეაჩეროს თავისი ყურადღება იმ პირობებზე, რომელთაც თქვენც კი აგამაღლებინეს ხმა და პროტესტი გამოგაცხადებიეს. ხოლო თუ ერთხელ დაფიქრდა ამაზე ადამიანი, შესაძლებელია ერთის გარდა სხვა რამ პასუხი გასცეს თავის თავს? მაგრამ რა, ეს ხომ თქვენთვის გაუგებარია, თქვენთვის არის მხოლოთ ჩოთქი და ჩოთქი, მითი ზომავთ და მითი წონით; ჩოთქი კი იდეიურ ბრძოლას არ ცნობს. და აი ამიტომაც გამომუშავდა თქვენში თავისებური პროტესტი, რომელიც ამბობს „მივდივართ, მაგრამ არ წავალთო“. ასეთია ყოველთვის ბურჟუაზიული ლოღიკა და მასვე დაადგა ჩვენი ბურჟუაზიაც მიუხედავათ თავისი ინტელიგენტობისა. ის სტიროდა, როცა საზღვარ გარეთ სეირნობის დროს 29-ის ამბავს კითხულობდა, მაგრამ უფრო ცხარე ცრემლით დაიწყო ტირილი, როცა „ქალაქის მამის“ წოდებაზე ხელის აღებაზე მიდგა, საქმე—რადგან ქონებასთან პატივიც აუცილებელ სამკაულათ მიაჩნიათ. აი, აქედან წარმოდგა მათი „ლოღიკა“, მათი უბადრუკი პროტესტი უკანასკნელი რედაქციით, და მეტი არა დაგვრჩენია რა, ქრონიკაში მაინც უნდა აღვნიშნოთ და ველოდოთ რაში გამოიხატება ეს **ჯდომით პროტესტი** და **ენით ხალხზე ზრუნვა**. ვნახეთ, როგორ იმოგზაურეს მარცხნივ, ახლა ვნახოთ, როგორ წავლენ მარჯვნივ!...

## II.

## პედაგოგებში.

ყველა სხვა დაწესებულებაზე ადრე, ჩვენში მაინც, საზოგადოებამ იგრძნო შკოლის ნაკლულოევანება. ასეთი შეგნების მთავარი მიზეზი, რასაკვირველია, იგივე აღვირახსნილი გახრწნილება და მოურიდებლობა იყო, რომელიც როგორც სხვაგან, ისე აქაც შემოიტანა ბიუროკრატიამ; მან უარყო სრულიად შკოლის დამოუკიდებლობა, უარყო მასში სწავლა-განათლების მიმცემი დაწესებულება, უარყო იგი როგორც მეცნიერების ტაძარი. აქ ცოდნის მიცემაზე და გონება-განვითარებაზე ზრუნვას ადგილი აღარ ქონდა. ბიუროკრატიას სჭიროდა **მორჩილი ქვეშევრდომი** და **აღმასრულებელი მოხელე** და აი შკოლასაც ამ ორი საქმის შესრულება დაეკისრა—იგი შეიქნა ძველი რეჟიმის გამამტკიცებელი იარაღი, იგი გადიქცა მოხელეთა მომამზადებელ ქარხანათ. მოხელე იყო მასწავლებელი, მოხელეთ ზრდიდა მოსწავლესაც. ყოველი ცდა იმისაკენ იყო მიმართული, რომ გაექროთ შეგირდებში სული ცხოველი და აღეზარდათ, თუ მოხელე არა, მორჩილი ქვეშევრდომი მაინც. თავისუფალი აზრი, დამოუკიდებელი ადამიანი, მეცნიერული მომზადება მის კარაბადინში არ ეწერა. ასეთი იყო ბიუროკრატიის შეხედულება შკოლაზე საზოგადოთ, ხოლო იმპერიისა განაპირა ქვეყნებში ამას ემატებოდა **გამარუსებელი პოლიტიკა**; ამ მიზნით აქ უარყოფილი იყო ის მინიმუმი რაციონალური შკოლისა, რომელიც შიდა გუბერნიებში ძალაუნებურათ რჩებოდა—განდევნილი იყო შკოლიდან მოსწავლეთა სამშობლო ენა. აი ასეთ დასახიჩრებულ შკოლას მოუსწრო განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. დაიწყო ძველი წესების გადასინჯვა, ახალის გათვალისწინება-შემუშავება. დაჩიავებულმა პედაგოგებმაც ამოიფშვნიტეს თვალები, იმათაც დაინახეს ის საზიზღრობა, რომლის განხორციელებას ყურ-მოჭრილათ ემსახურებოდენ: მათაც უარყვეს ძველი შკოლა, მოითხოვეს ბიუროკრატიის ოპეკის მოსპობა. დაიწყო მასწავლებელთა მოძრაობა.

ამ მოძრაობის ფერხულში ჩაებენ ჩვენი მხრის მასწავლებლებიც, რომელთაგან უფრო შეგნებული და სერიოზული მოქმედება, როგორც მოსალოდნელი იყო, სახალხო შკოლების მასწავლებლებმა გამოიჩინეს, ნამეტურ დასავლეთელებმა.

ამათ ფეხის ხმას აყვენ თფილისის სათავად-აზნაურო შკოლის (დღეს გიმნაზიის) მასწავლებლებიც. მათ შეიმუშავეს სასწავლებლის რეორგანიზაციის გეგმა, რომელიც საზოგადოების საყურადღებოთ ქართულ გაზეთებშიაც გამოაცხადეს. ამ პროექტმა საკმაოთ მიიქცია, ეგრეთ წოდებული საზოგადოების და ნაციონალისტური პრესსის ყურადღება. არც საკვირველია, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ ეს ერთად-ერთი დამოუკიდებელი ,,ეროვნული‘‘ შკოლა შედარებით უფრო თავისუფალი აზრის პედაგოგების კრებულს წარმოგვიდგენდა და მათი შედგენილი პროექტიც უფრო სრული და აზრიანი იქნებოდა. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. – ის ნაწილი პროექტისა, რომელიც საზოგადოთ სწავლის საქმეს შეეხებოდა, შეუმუშავებელი გამოდგა, დანარჩენი კი, სახელდობ შკოლის მართვა-გამგეობის მხარე ისე იყო მოწყობილი პროექტში რომ წამკითხველი საკუთარ თვალებს არ უჯეროდა და თავის თავს ეკითხებოდა: მართლა პედაგოგების შედგენილია ეს ნაწარმოები, თუ დიდი მადის მქონე მოჯამაგირეებისაო. სწორეთ რომ ახირებულათ იყო დაყენებული კითხვა. შკოლის შემნახველ საზოგადოებას სრულიად ესპობოდა საშვალება შკოლის საქმეების კონტროლისა: პროექტით მასწავლებლები ირჩევენ მასწავლებლებს და გამგეს, აწარმოებენ საქმეს, როგორც მათ უნდათ და არავის არა აქვს ნება ჩაერიოს შკოლის საქმეებში გარდა საზოგადო კრებისა, რომელიც ფაქტიურათ მოკლებულია ასეთი ჩარევის შეძლებას. ასე დააყენეს კითხვა მასწავლებლებმა ივლისის კრებებზე. დღესავით აშკარაა, რომ ასე საქმის მოწყობა სრული უარყოფაა საზოგადოების თვითმოქმედებისა და გვიქადის რაღაც ოლიგარხიის შექმნას, რომლისგანაც თავის დახწევა ძალიან ძნელი იქნება. მაგრამ, ასე არ შეხედა ზაფხულში მომხდარმა კრებამ. ამის მიზეზათ ჩვენ ის გარემოება მიგვაჩნია, რომ ამ უხამსს პროექტს შკოლის პედაგოგებმა **ავტონომია** დაარქვეს. ამან მოხიბლა, ალბათ, დამსწრე, წევრები; მათ უხერხულათ დაინახეს ,,ავტონომიის‘‘ წინააღმდეგობა და მიიღეს პროექტის ეს ნაწილი. გვიკვირდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობით ველოდებოდით, რას მოიტანდა ,,ახალი წესი‘‘.

სამწუხაროთ თუ საბედნიეროთ, ამ ცდის მოხდენა არ დაცალდათ პედაგოგებს. სეკტემბერში მომხდარმა კრებამ, გადასინჯა ზაფხულის დადგენილება და წინააღმდეგ მასწავლებელთა კატეგორიული მოთხოვნისა, რეორგანიზაციის მთელი საკითხი გადასცა გასარჩევათ კომისიას. ამ რიგათ შკოლაში ჯერ-ჯერობით იურიდიულათ ძველი წესი დარჩა...

ასეთია ისტორია ამ რეორგანიზაციის საკითხისა, რომელმაც იმდენი ხმაურობა გამოიწვია ჩვენ საზოგადოებაში. ხალხისთვის და ჩვენი მკითხველი საზოგადოებისთვის თვით ამ საკითხს არა აქვს პრაქტიკული ინტერესი, რადგან ხსენებული გიმნაზია წოდებრივ პრინციპზეა აგებული—იგი სათავადაზნაურო სასწავლებელია, და თუ ნება მივეცით ჩვენ თავს ამდენ ხანს ამ კითხვაზე შეჩერებისა, მხოლოთ იმიტომ რომ მასში საკმაოთ დახასიათდა „ქართველი“ მასწავლებლების ერთი ჯგუ-

ფი. მათ გამოიჩინეს სრული შეუგნებლობა დღევანდელი მოძრაობისა დ გააპირეს მისი თავიანთ სასარგებლოთ გამოყენება. მოინდომეს რაღაც კასტიური კორპორაციის შექმნა და სრულიად უარყვეს საზოგადოების ყვლევა. როგორც ვთქვით, ჩვენ არც იმდენათ ვართ დაინტერესებული ამ შკოლის „საზოგადოების“ უფლებათა დაცვაში, მაგრამ ერთი მხრით მათი შელახვა დამახასიათებელია ამ უფლებათა შემლახველთათვის და საჭიროა აღვნიშნოთ; მეორე მხრით კი არ შეგვიძლია ხმა-ამოუღებლივ ავუაროთ გვერდით იმ დაწესებულებას სადაც 500—600 ნორჩი არსება იზრდება და ემზადება მომავალ ცხოვრებისათვის. არაა სასურველი, რომ უკანასკნელნი თავის აღმზრდელთ დაემგვანონ. ამ პედაგოგების ჩამორჩენილობის დასამტკიცებლათ თვით მათი პროექტი იძლევა საკმაო მასალას. საინტერესოა მაგალითათ ასეთი მოვლენა. თავის პროექტში პედაგოგები ქართულ ენას მხოლოთ ერთ-ერთი საგნის ადგილს უთმობდენ, ხოლო სასწავლო ენათ ისევ რუსულს სტოვებდენ. ამავე დროს კავკასიის ადმინისტრაციამ ქართული ენა სახალხო შკოლებში სასწავლო ენათ აღიარა. ამ რიგათ „ნაციონალ-ავტონომისტები“ ადმინისტრაციასაც კი ჩამორჩენ ენის ინტერესების დაცვაში, თუმცა ენა მათი განსაკუთრებული ზრუნვის საგანს შეადგენს. ჩვენ, რასაკვირველია, ამ მხრით არ ვუყურებთ ენას. ჩვენი აზრით, რაციონალურ შკოლაში სამოსწავლო ენათ ის ენა უნდა იყოს მიღებული, რომელიც ბავშვებს ესმის და მათ დედა-ენას შეადგენს. ამას მოითხოვს დროსა და შრომის ეკონომია. ჩვენ გამოვდივართ არანაციონალისტური მოსაზრებიდან და ვიცავთ ერის ენას, ხოლო იგი ავიწყდებათ ნაციონალისტებს და ამ რაციონალურ ნიადაგს გვერდს უვლიან.

აი მეორე მხარეც. ეს ავტონომისტები თხოულობდენ შკოლის ავტონომიას, ე. ი. სრულ დამოუკიდებლობას საზოგადოებისგან, და მერე იცით ვისთვის? იმათთვის ვინც მთელი ათი და ოცი წლის მოღვაწეობით დაამტკიცეს თავისი უვარგისობა. როგორ გამოიყენებდენ ნეტა ამ ავტონომიას? მე მგონია იმ უწესოებათა გასამრავლებლათ და გასამტკიცებლათ რომელნიც სასწავლებელში გამეფებულა ამ ხნის განმავლობაში. ამის თავდებია მათი წარსული მოღვაწეობა.

მიაქციეთ ყურადღება იმასაც თუ როგორი საშვალებით იცავდენ პედაგოგები თავიანთ პროექტს. მათი უმთავრესი არგუმენტი ის იყო, რომ კრებას მუქარა წამოუყენეს წინ—თუ არ მიიღებთ ჩვენ პროექტს, შკოლას თავს ვანებებთ და მასწავლებლებზე იზრუნეთო. აი, როგორი პრინციპიალური საშვალებით იცავდენ პედაგოგები ამ პრინციპს. ნუ თუ ის არის პრინციპიალური ბრძოლა, რომ ძალდატანებით მიაღებინოთ საზოგადოებას თქვენი ,,პროექტი‘‘? არა, ბატონებო, ამას ძალდატანება, მხოლოთ ძალდატანება დაერქმის, და ნურას უკაცრავათ, თუ ჩვენც ამ სახელს ვუწოდებთ. ან რას გავდა ის, რომ მთელი თქვენი ,,ავტონომიის‘‘ შინაარსი ბოლოს ხუთი ახალ მასწავლებლის მიღებაზე დადგა. ნუ თუ, თქვენ გრწამდათ გულწრფელათ, რომ ამ ხუთის მიღების უფლება აღადგენდა შკოლას? რამდენიც უნდა მარწმუნოთ მაინც ვერ დავიჯერებ, რადგან ვერ შეგკადრებთ ასეთ გულუბრყვილობას. მაშ დაფიქრდით და თქვენ თითონ დააფასეთ ხელ-ახლა თქვენი ნაღვაწ-ნამოქმედარი; დღეს ხომ, რუსები რომ იტყვიან, **„переоцѣнка всѣхъ цѣнностей“**-ო, ამისი დრო არის, მაშ გადასინჯეთ ხელ-ახლა თქვენი პროექტი და, დარწმუნებული ვარ, ბევრ რამე თქვენ თითონ უარყოფთ, თუ რასაკვირველია თქვენი გონება საუკუნოთ არ დაუმორჩილებია ქინს. პირადათ მე გეთანხმებით რომ კომიტეტის თავნებობა, სამოქმედო ასპარეზის განუსაზღვრელობა და ბევრი მისთანები ხელს გიშლიდენ საქმის წაყვანაში, მაგრამ ბევრათ მეტი ცოდვა თვით თქვენ, მასწავლებლებს, მიგიძღვით. დაფიქრდით, მოიგონეთ და დარწმუნდებით ამის სიმართლეში. მაშ რა პირით გვიწვევთ კარიდორებში მოსასვლელათ და გვეუბნებით იქ დაინახავთ შკოლის უვარგისობასო. თუ მართლა ისეა საქმე, როგორც თქვენ გვიხატავდით, ხომ კიდევ უარესი თქვენთვის, რადგან ეს უვარგისობა თქვენი ,,მოღვაწეობის‘‘ ნაყოფია. დაფიქრდით, რას ამბობთ!..

**ნარი.**

## დაბა-სოფლის ამბები.

**საგურამო.** რადაც ეპიდემია გაუჩნდა ქართლის კეთილშობილთა სამაყო და საარაკო დიდებას, მხსნელათ მოვლინებულ ,,შავრაზმს‘‘. მას არსებობას უმალ თუ საათში ორი დღე აკლდებოდა, ახლა წუთში სამი დღე აკლდება, როგორც უდღეურს და ცხოვრებაში უკანონოთ შობილს. შორს აღარ არის ის დღეც, რომ თავდაყირა გადაექანება, უკუნეთის უფსკრულში საუკუნოთ გადიჩეხება, დაიღუპება, და გამოესალმება თავრეტდასხმულ, გაჯახირებულ თავის სიცოცხლეს. მას ბრწყინვალე მთამომავლობას, უკვე განბანილს და განწმენდილს მარტოოდენ მწარე და სამარცხვინო მოგონება დარჩება თავის წინაპრებზე. ,,რაზმელები,‘ ახლა ადამ და ევასავე ერთმანეთს აბეზღებენ და თავს მართლულობენ ერთმანერთის გადაბრალებით, რომ ერთმა მეორე აცდინა, ,,რაზმის‘‘ დაარსების მიზანი სხვა იყო და ცხოვრებაში სულ სხვა განახორციელეს, რაც ვითომც მათ პრინციპებს და იდეებს არ შეესაბამება. ასეთი ,,თავის მართლების‘‘ შემდეგ დიდის ტრაბახით და თავმოწონებით თავს ანებებენ იგინი ,,შავ რაზმშა‘‘ მოღვაწეობას, მაგრამ მტკიცე საბუთი—ჭეშმარიტებისა—საბუთათ რჩება, მას ვერავითარი ლილაგახუნებული ჭრელ-ჭრელი ლათაიები ვერ ამოშლის ცხოვრების ფურცლიდან: ,,რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოთ გადაეცემის‘‘...

— ზოგიერთ აქაურმა მემამულემაც მოინდომეს გლეხებთან შერიგება. სავსებით მიიღეს გლეხების მიერ დადგენილი პირობა. ჯერი ჩვენს მგოსან ილია ჭავჭავაძეზე მიდგა, ამასაც გაუგზავნეს შუა კაცი მოსალაპარაკებლათ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ ახლოსაც არ გაიკარა. ,,მეო‘‘, დიდის რიხით უთხრა შუა კაცს ბ. ილიამ ,,საპეკუნო მამულის იჯარადრობას თავი დავანებე (კთხოვ კაიხსენო, მკითხველო, ეს ის საიჯარო მამულია, რომელზედაც ბ. ილია თავის ცნობილ ,,ნუ-თუ?‘‘-ში მართალ კაცივით უარსა ჰყოფდა და ამტკიცებდა საგურამოში არავითარი საქმე არა მაქვს გლეხებთან მამულის შესახებო, ახლა კი იჯარადრობისთვის თავიც დაუნებებია საპეკუნო მამულისთვის). თავში ქვა თქვენც იხალეთ (ალბათ ისე მამა-შვილურათ) და თქვენმა მამულმაცაო, ხოლო რაც შეეხება ჩემს კეთილ-შეძენილ ნასყიდობას კერძო საკუთრებაა და ყოველივე კერძო საკუთრება ხომ ჯერ-ჯერობით დიდ პატივშია და კიდევ იქნება როგორც ქვა კუთხედი კაცობრიობის კეთილდღეობისა, მეც ვინც მეტს მომცემს საკუთარ მამულში, იმას მივაქირავებო; და მაინცა და მაინც თუ ჩემს ნებაზე ვერ გავაქირავე—იყოს ისე. რამენაღვლება, რასა ვკარგამო‘‘. აქ შუა კაცმა გადაწყვეტით მიუგო, მაგასაც ვნახავთ, ვინ მოგცემსო ჩვენს დადგენილებაზე მეტსო.

**ვ. ნ.**

## „მაღალ ტაძარში მაღალია სულის კვეთებაც“.

მკითხველმა წაიკითხა სათაური და დაფიქრდა: ვისზე უნდა წერდეს თავუნა? „მაღალ ტაძარში მაღალია სულის კვეთებაც“! ვის უნდა შეეფერებოდეს ეს სიტყვები? ვინ უნდა იყოს ეს ,,მაღალი ტაძარი?‘‘

მაღალი ტაძარი! წარმოიდგინე, მკითხველო, პიტალო კლდე, კლდე მიუვალი, რომელიც მედიდურათ დაყურებს ცოდვილ არე მარეს. ის—თვალ-მიუწდომელი კლდე—ისე ამაყათ ამართულა სივრცეში, რომ თავისი კენწერო თეთრ უმანკო ღრუბლებში აქვს მიქდობილი. არავითარი სიბილწე, არავითარი ბინძური ზრახვა მის მწვერვალოს არ მიკარებია და, როგორც, ქვეყნიურ ბიწიერებას განშორებული განდეგილი, ისე განმარტოებული დგას სპეტაკი კლდე. აქ კი ძირს ყოველივე ამყაყებულია და გახრწნილება, დაბეჩავება ხმა-მაღლა ღაღადებს ცოდვილი კაცუნების წილ-ხვედრილ ქვეყანაზე. ყველანი სასოებით და კრძალვით შეყურებენ პიტალო კლდის მწვერვალს, სადაც განგების ყოვლის შემძლე მარჯვენას აუშენებია ტაძარი, სათნოებით სიბრძნით და ყოველივე საუნჯით ალსავსე. ამ ,,მაღალ ტაძარს'' ემორჩილება ბუნების ძალები და როცა მას დასვენება ან ადამიანის ცოდვილ თვალთაგან მიფარება სურს—ფიფქი, თოვლივით თეთრი ღრუბელი შემოერტყმება გარეშემო და მაშინ აღარ სჩანს ტაძარი შვენიერი და უბადლო. დიდ არს ძალი ამ ტაძრისა და ვაი იმას ვინც გაბედავს მის შეურაცხყოფას. მაშინ ტაძარი ხელთუქმნელი მოიწოდებს შავ-ყურყუბა ღრუბლებს, რომელნიც გიშრის გვირგვინივით დაადგებიან მის შექმუხვნილ შუბლს. იჭექებს ღრუბლებში და მეხი-ღვთის რისხვა გაანადგურებს იმას, ვინც შებღალა დიდებული ტაძარი.

მაშ ვინ იქნება ასეთი უგუნური და თავხედი? ვინ გაბედავს ჩირქი მოსცხოს დიდებულს ,,მაღალ ტაძარს''!

განა არ იციან ადამიანებმა რომ ,,მაღალ ტაძარში მაღალია სულის კვეთებაც''!

მაგრამ აი, აღმოჩნდა ისეთი კადნიერი და ყოვლად ურცხვი არსება, რომელმაც შეუგინა ტაძარს წმიდათა-წმიდა. რა სასაცილო იყო ეს არსება? ქონდრის კაცსავით გაჩერდა იგი წინაშე სპეტაკი კლდისა, რომელზედაც ტაძარია აგებული და თავის უსუსური ხმით გინების სიტყვა ესროლა ღვთაებას. მხოლოთ წარბი შეიკრა ღვთაებამ და დაპენტილი ღრუბელი შემოიხვია თავზე.

ითაკილა კადნიერმა არსებამ ამნაირი უყურადღებობა და მეცადინეობას უმატა. მაგრამ დიდ-ბუნებოვანი ტაძარი, ამ ნაირ ოინებს ყურადღებას არ აქცევდა, თავის სათნო საქმეს განაგრძობდა და უმნიშვნელო მტერს არც ავს, არც კარგს ეუბნებოდა.

ასეთი იყო დიდ ხანს მათი ურთიერთობა; მაგრამ ბოლოს დროს აივსო ფიალა მოთმინებისა.

განრისხდა ტაძარი. მოიხმო შავი, შიშის მომგვრელი ლეგა ღრუბლები, დაიხვია გარეშემო და ბრძანა: ,,მომაშორეთ თავხედი''!

ელვა ცეცხლის გველებივით დაიკლაკნა ღრუბლებში. საზარელმა ჭექა-ქუხილმა დედამიწას ზანზარი დააწყებია. ყოველივე სიტყვას ღვთაებისას, რომელიც ათასი საყვირის ხმასავით გაისმოდა, თან მოსდევდა მეხი დაუნდობელი. როდესაც გადაიწმინდა, და შავი ღრუბლები მიიფანტ-მოიფანტა, ტაძარი ისევ უწინდებური სიამაყით და მედიდურებით იდგა კლდის კენწეროზე და მისი ნათელი სახე თითქოს იღიმებოდა. აქ კი უსულოთ ეგდო თავხედი, უსუსური მტერი დიდებული ღვთაებისა.

მკითხველმა ესეც წაიკითხა და კიდევ დაფიქრდა; ვინ უნდა იყოს ეს ტაძარი? ვინ არის ეს კადნიერი არსება, რომელსაც ასე უდროოთ მოესპო სიცოცხლე?

რახან ასე გაინტერესებს, მკითხველო, მე მზათ ვარ აგიხსნა ჩემი ალლეგორია: „მაღალი ტაძარი“ გახლავს....

მკითხველმა სიტყვა გააწყვეტინა თაგუნას და თითონვე ახსნა «მაღალი ტაძარის» ვინაობა.

— ფ. გოგიჩაიშვილი! წამოიძახა გახარებულმა მკითხველმა.

— ის მტერი ვინ-ღაა? შეეკითხა ახლა თაგუნა.

— მოგზაური, უპასუხა მკითხველმა.

— კარგი და პატიოსანი. რა ხან შენ ასე უცებ მიმიხვდი გამოცანას, მე შენ ერთ სულ პატარა ლექსს გეტყვი და გამოიცანი, ვისზეა იგი გამოთქმული:

ჰოი, მწერალთ ბუმბერაზო, ნიჭით ცხებულო,
ქვეყნათ ზრდილობის აღსადგენათ მოვლინებულო!
ვითარ გაუძლოს ,,მოგზაურმა'' შენს განრისხებას,
შენს გულის წყრომას, აღშფოთებას და აღტყინებას!
დეე, გაგინონ, დეე გლანძღონ, დაგასხან ლაფი,
დე, შეგანთხიონ უწმინდური დორბლი და ქაფი—
შენ ნუ შედრკები, ჩემო დევო, მედგრათ მებრძოლო,
რადგან შენ ღვაწლს სასურველი ექნება ბოლო!
შორს აღარ არის ჟამი იგი სვე-ბედნიერი,
როს შენ-წინაშე ქედს მოიხრის ქართველი ერი,
და შენ—ქერუმსა ჭეშმარიტი მეცნიერების—
ტანჯულ თხემს—დაფნა, ფერხთით ვარდი მოგეფინების.
მართალი არის ახლა არვინ გიგდებს შენ ყურსა,
რა გაეგება ხალხს უზრდელსა და უგუნურსა?
მაგრამ დადგება მალე დრო, დრო სანეტარო,
ჩემო ბიჭიკო, სიტკბოებავ, ჩემო ნექტარო,
და, შინ უზრდელი, გაუთლელი, ტლანქი ქართველი
თვისი სამშობლოს თვისივ ნებით გამგე-მმართველი
მეის დაგიჯერებს, მოიქცევა შენსა ნებაზე:
აღარც თეატრში შეგაწუხებს, აღარც კრებაზე...
აწ კი მშვიდობით, ბუმბერაზო, ნიჭით ცხებულო,
უზრდელობისა დასათრგუნვათ მოვლინებულო!
მე—სუსტათ მეტყველს სად შემეძლო შენი შექება,
და ვინც გაგინებს, მას დედის რძეც ნუ შეერგება.

**თაგუნა.**

## ორიოდე სიტყვა ფილიპე გოგიჩაიშვილს.

ბავშმაც კი იცის ეხლა, რომ დღევანდელი საზოგადოება იყოფა ორ მთავარ ბანაკათ. ერთი მხრით ყოველგვარი უფლებით აღჭურვილნი მდიდრები, კაპიტალისტები; მეორეთი უფლებებს მოკლებული, ჩაგრული და დაბეჩავებული პროლეტარიატი. ამ ორ კლასთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული: კაპიტალისტები ცდილობენ თავიანთ ბატონურ მდგომარეობის შერჩენას, პროლეტარები თავიანთ დაბეჩავებულ მდგომარეობის გაუმჯობესებას. როგორც ერთ კლასს, ისე მეორესაც ყავთ თავიანთ სურვილების და მისწრაფების გამომხატველნი იდეოლოგები, ყავთ პარტია, რომელნიც იცავენ თავ-თავის კლასის ინტერესებს. რამდენათაც წრფელია ხალხის ინტერესების დამცველი პარტია, რამდენათაც იმას რწამს სიმართლე და სინამდვილე თვისი მიმართულებისა, იმდენათ მედგრათ დ თავგანწირულათ იბრძვის ის ცხოვრებაში თავის რწმენის და მიმართულების განხორციე-

ლებისთვის; ამ პარტიის წევრები არ ზოგავენ არც ძალას, არც ღონეს, უარს ყოფენ ყოველ-გვარ პირად ბედნიერებას და თავ-დავიწყებულნი ემსახურებიან იმ დიდებულ მიზანს, რომელსაც ქვიან დაბეჩავებული ხალხის გაბედნიერება. რაც შეეხება ბურჟუაზიას—ისიც ფრთხილათ არის; ისიც ებრძვის პროლეტარიატს....

მუშათა კლასი და ბურჟუაზია—ესენი არიან ერთი მეორის დაუძინებელი მტრები; მათი შეთანხმება შეუძლებელია. და რაც უფრო შეგნებული აქვს პროლეტარიატს ეს უტყუარი მცნება, მით უფრო ძლიერია ის, მით უფრო ახლოა ის მიზანზე. . . . ასე ვფიქრობთ ჩვენ და დარწმუნებულიცა ვართ, რომ ნამდვილ და სწორ გზაზე ვდგავართ... თქვენ კი, ბატონო ფილიპე გოგიჩაიშვილო, რიგორღაც დაგვიწყებიათ ეს მცნება... დღე არ გავა ისე, რომ თქვენ გაზეთ ივერიაში მესამე დასელებზე უკბილო ოხუნჯობა არ იყოს მოთავსებული. ყოველ ღონის ძიებას ხმარობთ, რომ ხალხის თვალში დასელები დაამციროთ, მათ მოქმედებას სახელი გაუტეხოთ. მერე რატომ, ბატონო ფილიპე? იმიტომ რომ ბურჟუაზიის იდეოლოგათ მოგნათლეს მესამე დასელებმა? გეთანხმებით რომ მეტათ სამარცხვინოა მეოცე საუკუნეში ამ სახელის ტარება, მაგრამ რა ვქნათ, რომ თქვენ სწორეთ ეგ სახელი დაიმსახურეთ.

ჩვენი რა ბრალია, ბატონო ფილიპე, რომ თქვენი აზრი და მიმართულება ხალხმა არ მიიკარა, არ დაგიჯერათ, რომ „პოლიტიკურ სფერაში სხვა კლასებთან შეერთება უკეთეს პოლიტიკურ წყობილების მოსაპოვებლათ არ უძნელებს მშრომელ ხალხს კლასობრივ შემეცნებასა და თავის ინტერესების შეგნებას“!.. მერწმუნეთ, რომ არც იმაში გვიდევს ბრალი, რომ ხალხმა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის პირველ ,,სიიმედო ნაბიჯს‘‘ (ავტონომიის მოთხოვნას), რამაც თქვენ აღტაცებაში მოგიყვანათ, ეჭვის თვალით შეხედა; რა ვუყოთ, ბატონო ფილიპე, მშრომელი ხალხის ფსიხოლოგია ასეთია: არც მაგათი ავტონომია გვინდა და არც სხვა რამ წყალობაო, გაიძახის ხალხი, და მართალიც არიან. თქვენ როგორც «მეცნიერს», კარგათ უნდა გახსოვდეთ შემდეგი სიტყვები: timeo danaos et dona ferentes.

არც იმაზე უნდა აღშფოთდეთ, რომ ხალხი თქვენმა აღტაცებამ ,,ერთი გამწესების გამო‘‘, მეტათ დააფიქრა და საბოლოოთ დაარწმუნა, რომ თქვენ და ხალხს შორის არასფერი საერთო არ არსებობს, რომ თქვენი ტკბილ-ტკბილი სიტყვები მშრომელი ხალხის მიმართ ავტონომიაზე, სიმართლეზე, ზნეობრივ სიფაქიზეზე არის მხოლოთ... მახე, რომელსაც გაურბის ყოველი, ცოტათი მაინც, შეგნებული მუშა... ისიც უნდა თქვას კაცმა, რომ, მაინცადამაინც, არც ამ მახის დაგებაში გქონიათ უნარი... ასეა თუ ისე, ბატონო ფილიპე, თქვენ თქვენი მოქმედებით ნათლათ ამტკიცებთ, რომ ხალხის მეგობარი არა ხართ, არც ყოფილხართ და არც იქნებით; თქვენა ხართ ტიპიური იდეოლოგი ქართველი ბურჟუაზიისა და როგორც ამ ნაირს, ნუ გეწყინებათ, შეძლებისდა გვარათ გებრძვით და არც გაგახარებთ...

**სან—დონი.**

## სომხის იდეოლოგები როგორც პროლეტარიატის ინტერესების დამცველი.

გაზ. «არშალუისმა», «მოგზაურის» საწინააღმდეგო წერილში («არშ.» № 13). სხვათა შორის მოუწოდა სომეხ-პროლეტარს, რათა მან თავის პირით გამოსთქვას აზრი აღძრულ კამათის შესახებ და ღირსეულათ დაავსოს პროლეტარიატის მოგზაურელებისთანა იდეოლოგები.

მე, როგორც ერთ სომეხ-პროლეტართაგანს, მინდა ჩემი აზრი გამოვსთქვა და ვთხოვ ამხანაგებს ადგილი დაუთმონ ჩემ წერილს «მოგზაურის» მახლობელ ნომერში.

«არშალუისის» მე-21-ე ნომერში ბ. იშხანიანი, სხვათა შორის ბრძანებს: ჩვენ (ე. ი. სომეხი ინტელიგენცია) უფრო მედგრათ ვებრძვით სომეხ ბურჟუაზიასაო და სხ.*)...

რამდენათ მართალია ეს აზრი?—სად, როდის, ან რაში იხატება თქვენი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ბ. იშხანიანებო? აქტიურ ბრძოლაზე, რასაკვირველია, ლაპარაკიც მეტი იქნებოდა, რადგანაც ჩვენ «კლუბის პუბლიკას» შეეძლო თავი ეჩინა მხოლოთ ლიტერატურაში—იდეიური ბრძოლით, ან არა და ზეპირ პროპაგანდაში. განვიხილოთ გაკვრით ერთიც და მეორეც,

გადაათვალიერეთ მთელი ჩვენი ახალი ბელეტრისტული თუ პუბლიცისტური ლიტერატურა. რა ნახავთ იქ? უპირველეს ყოვლისა ჩვენ საუკეთესო მწერლებს და პუბლიცისტებს შეამჩნევთ ერთ ტენდენციას, რომელიც წითელი ძაფივით არის გატარებული მათ ნაწერებში: თავის გმირების სამოქმედო ასპარეზათ ისინი უმეტეს შემთხვევაში იღებენ ოსმალეთის სომხეთს და იქაურ სომხების, როგორც ერის, ჭირ-ვარამ—მოთხოვნილებებს აცხადებენ, როგორც საერთო ნაციონალურ მოთხოვნილებათ; ასურათებენ ამ მოთხოვნილებებს და ყოფაცხოვრებას იმნაირი ოსტატობით და სანტიმენტალურ გრძნობით, რომ გულუბრყვილო, კლასსიურ თვითშეგნებას მოკლებული მკითხველი—მუშა თუ გლეხი წარმოიდგენს, რომ მთელი მისი უბედურება მჭიდროთ დაკავშირებულია ოსმალეთის სომხებთან და იმას ეშველება მხოლოთ მაშინ, როცა ეშველება რამ ოსმალეთის სომხებსაო.—«იქით, იქით, სომხებო, სამხრეთისკენ: იქ არის ჩვენი ხსნა და ბედნიერების გზაო»! გვეუბნება უმრავლესობა და უკეთესი ნაწილი ჩვენი მწერალ-იდეოლოგებისა. სწორეთ ამასვე იმეორებს ჩვენი სამღვდელოება, თუმც მას არ ავიწყდება თავისი, როგორც სასულიერო წოდების, სპეციალური მისსია—თვალები აუბას მშრომელ ხალხს სამოთხე-ჯოჯოხეთის ზღაპრებით. «იქ, სამოთხეში მიიღებთ სუყველაფერს, რაც თქვენ თვალსა და გულს უნდა მხოლოთ იმ აუცილებელ პირობით, თუ ცხვარივით წყნარი და ავანაკივით მომთმენი იქნებით უფროსების, აღა-ხაზეინების და სულიერ მამების წინაშეო»! ამბობენ ჩვენი ტერტერ-ვართაპეტები.—

მწერლობის უმცირესობა შეეხო ადგილობრივ ცხოვრებას. იმან სიუჟეტათ აიღო სოფელი და გლეხი, და, ამნაირათ, აღადგინა ჩვენში მიცვალებული «ხაროდნიკობა». ის ასურათებს ერთის მხრით გლეხის საცოდავ მდგომარეობას და მეორეს მხრით სოფლის ჩარჩ-ვაჭარ-მევახშის საზიზღარ მოქმედებას, მხოლოთ ამ მოვლენებს ის ხსნის არა როგორც შედეგს სოციალ-ეკონომიურ რკინის კანონების განვითარებისას, არამედ, კერძო პირების თვისებებით. მწერლობის ამავე ნაწილმა გამოუცხადა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ერთ ცხოვრების მოვლენას, სახელდობრ ხალხის მიმდინარეობას სოფლიდან სამრეწველო ცენტრებისკენ, რასაც იწვევს იგივე ეკონომიური კანონები. ამ ეკონომიურ კანონებს, რასაკვირველია, ანგარიშს არ უწევს ეს ნაწილი მწერლობისა, იგი ამ მოვლენას ხსნის იმით, რომ ხალხი გაირყვნა და არ კადრულობს სოფელში მუშაობასაო.

ეს ორი მიმართულება დღესაც გაბატონებულია ჩვენ ლიტერატურაში და ჟურნალ-გაზეთობაში. ორივე მიმართულებას აერთებს ნაციონალური წმინდათა-წმინდა—ენის, სარწმუნოების და ჩვეულების დაცვა.

ახლა იკითხეთ, თუ რა მოგვცა ჩვენმა ლიტერატურამ, ჩვენმა

*) „თქვენ ორი ინჩი გისწავლიათ და გინდათ ქვეყანა გადააბრუნოთო“—გვეუბნებიან ჩვენი ალები და ტერტერები. სწორეთ ეს სიტყვები გამახსენდა, როცა წავიკითხე ბ. იშხანიანის წერილი მიმართული ამხ. მახარაძის წინააღმდეგ.

იდეოლოგებმა საკუთრათ ჩვენ—პროლეტარების, რომლის ინტერესებისაც ბ. იმხანიანის სიტყვით, იცავენ ისინი, იდეოლოგები, და სასტიკათ ებრძვიან ჩვენ ბურჟუაზიას?—გადააბრუნეთ მთელი ჩვენი უკანასკნელი წლების ლიტერატურა ჟურნალ-გაზეთებითურთ, ეძებეთ სანთლით კი არა—თუ გნებავთ ელექტრონის ლამპებითაც—თქვენი ცოდვა არა მაქვს, რომ იქ ვერ ჰპოვებთ ორ სტრიქონსაც სოციალიზმის, ან და მუშათა კითხვის შესახებ. იმ დროს, როცა მუშათა მძლავრმა მოძრაობამ რუსეთში—საერთოთ და კავკასიაში—კერძოთ. შეარყია მთელი სოციალურ-ეკონომიური შენობა და მიიპყრო თავისკენ მთელი კაცობრიობის ყურადღება—ჩვენ გაზეთებში იბეჭდებოდა მხოლოთ ის, რასაც ბეჭდავდა ოფიციალური ორგანო; იმ დროს, როცა ადგილობრივ გაზეთების (განსაკუთრებით ქართულ) შინაური ქრონიკები ივსებოდა ცნობებით მუშათა მოძრაობის შესახებ რუსეთში და ჩვენში—ჩვენი გაზეთების ქრონიკები ივსებოდა ცნობებით იმის შესახებ, თუ რომელ სოფელში წვიმა მოსულა, რომელში სეტყვა, თუ სად რომელი საყდარისთვის არის საჭირო რემონტი და სხვ. იმ დროს, როცა სატახტო ქალაქის გაზეთები და ნამეტნავათ ადგილობრივ გაზეთების უცხოეთის ქრონიკა სავსე იყო და არის უცხოეთში მუშათა კითხვის შესახებ ცნობებით—ჩვენი გაზეთების უცხოეთის ქრონიკა სავსეა ცნობებით იმის შესახებ, თუ სულთანს ვინ ესროლა ყუმბარა, რას ამბობენ ევროპიელი დიპლომატები სულთანიზმზე და ოსმალეთის სომხეთზე, როგორ მიდის საქმე არაბეთში, მაკედონიაში და სხვ. იმ დროს, როცა გურიის გლეხთა მოძრაობამ მიიპყრო თავისკენ მთელი ევროპის ყურადღება და საზღვარ გარეთულ და სატახტო ქალაქების გაზეთებმა საკუთარი კორესპონდენტები გამოგზავნეს გურიაში მოძრაობის ადგილობრივათ შესასწავლათ—ჩვენმა გაზეთებმა არ დაინახეს საჭიროთ ერთი ვრცელი კორესპონდენცია მაინც გადმოეთარგმნათ ადგილობრივ გაზეთებიდან.

იგივე ითქმის დღევანდელ ყოველ დღიურ გაზეთებზე, მხოლოთ იმ ცვლილებით, რომ ჩვენი გაზეთების მეთაური ფელეტონი თუ ქრონიკები დღეს სავსეა ცნობებით სომეხ-თათართა შეტაკების შესახებ. თუ ხანდახან იტყვიან რამეს მუშათა კითხვის შესახებ—ეს ისე, სხვათა შორის, დეკორაციისთვის, თუმცა კი გაზ. «არშალუისი» დიდის რიხით გვპირდებოდა მუშათა კითხვას დიდ ადგილს დაუთმობო. და ასე იქცევიან ჩვენი გაზეთები იმ დროს, როცა მრავალი წიგნაკები გამოვიდა და გამოდის მუშათა კითხვის და სოციალიზმის შესახებ და თუ ორიგინალის დაწერის შნო არა აქვთ ჩვენ მწერალ-იდეოლოგებს, გადმოთარგმნა ხომ შეეძლოთ, მაგრამ როგორც ეტყობა ისინი მაგრათ ადგანან ზევით გარკვეულ მიმართულებას და მუშათა კლასსიურ ინტერესს სწირავენ «საერთო ნაციონალურ ინტერესებს» (ე. ი. ჩვენი ბურჟუა-ტერტერების ინტერესებს).

გადავიდეთ ახლა ზეპირ პროპაგანდაზე სომხის გლეხობაში და მუშებში, რომელსაც მეთაურობენ «ჰნჩაკელები» და «დაშნაკელები». ამ ვაჟბატონების საქმენი საგმირონი დღეს ყველა თვალხილულ მუშისათვის აშკარათ სჩანს. ცხადია, თუ ვის ინტერესს იცავენ იგინი. მე აქ არაფერს ვამბობ იმის შესახებ, თუ როგორი თავგამოდებით ქადაგობდენ მთელი ოცი წლის განმავლობაში ეს უმაწვილები სომხის მუშებში და ნამეტნავათ, გლეხებში იმ აზრებს, რომელსაც ზემოხსენებული სომეხ-მწერლების უმრავლესი ჯგუფი ავრცელებდა. მე უფრო მაინტერესებს ის ზომები, რომელთა საშუალებითაც ცდილობენ ეს ჩვენი «დამხსნელები» შეაჩერონ მუშათა მძლავრი მოძრაობა.

«არშალუისი» (№ 13) გვეუბნება: მოგზაური ურჩევს სომეხ მუშებს შეერთებას თათარ მუშებთან იმ დროს, როცა ეს უკანასკნელნი იარაღით ხელში აიძულებენ სომეხ-რუს გაფიცულ მუშებს შესწყვიტონ გაფიცვა»...

რა გსურთ ამით გვიბრძანოთ, ბ.ბ. ნაციონალისტებო? ნუ თუ ის, რომ თათრები წინ ეღობებიან მუშების შეკავშირებას და სოციალისტურ მოძღვრების გავრცელებას მუშებში? უარს არ ვინ ყოფს, რომ თათრის ბურჟუაზიის მონა-მორჩილი ინტელიგენტი-იდეოლოგები ყოველ გვარ საშუალებებს ხმარობენ, რათა შეაჩერონ და ჩააქრონ თათარ მუშებში ყოველივე შეგნებული სოც.-დემოკრატიული მოძრაობა, რადგანაც კარგათ იციან, რომ ეს მოძრაობა მის, თათრის ბურჟუაზიის ბატონობის შეკვეცას მოასწავებს.—მერე, განა იმასვე არ ჩადიან ჩვენი ნაციონალური პარტიები («ჰნჩაკელები» თუ «დაშნაკელები» ჩემთვის სულ ერთია)? განა ეს ვაჟბატონები არ სდევნიან ყოველივე საშუალებით იმ პირებს, ვინც ცდილობს სოციალისტური მოძღვრება შეიტანოს სომეხ მუშებში? განა იმათ არ მოკლეს ჩვენი ამხანაგი ორი წლის წინეთ ქ. ბათუმში მხოლოთ იმიტომ, რომ იმან მიატოვა ნაციონალური პარტია და მუშათა პარტიაში მოქმედობდა? იმავე წლებში და იმავ ქალაქში სომეხ-ქართველ მუშების შეტაკება სისხლის ღვრით კინაღამ დამთავრდა. მიზეზი ის იყო, რომ ჩვენი ნაციონალისტების ზედგავლენის ქვეშ მყოფი სომეხი მუშები მხარს არ აძლევდენ გაფიცულ ქართველ მუშებს, რადგანაც... ხაზეინი სომეხი იყო. წელს, ქ. შუშაში გაფიცულ მოსამსახურეებს ჩვენი ნაციონალისტები იარაღით ემუქრებიან დემონსტრაციის მოხდენისათვის; ქ. ალექსანდროპოლში იგივე ვაჟბატონები აიძულებენ გაფიცულ მუშებს შეაჩერონ გაფიცვა. ან რომელი ერთი მოვთვალო ამ ყმაწვილების ოინებისა? მე ვიცი კიდევ აი როგორი ფაქტი: ორი თვის წინეთ ერთს ადგილობრივ ქარხანაში, სადაც მუშაობენ სომეხ-თათარი მუშები, ხაზეინმა ხელფასი დაუკლო. უმეტესობამ სომეხ-ამხანაგებმა გადასწყვიტეს გაფიცვა, იმათ მაშინვე მხარი მისცეს თათარ-ამხანაგებმაც; ნაციონალისტებმა კი უარი განაცხადეს გაფიცვაზე და რევოლვერებით იწვევდენ გაფიცულებზე, რადგან აქ ხაზეინი სომეხია. უკანასკნელი ჩვენ ნაციონალისტებზე გონიერი აღმოჩნდა და ერთი დღის გაფიცვის შემდეგ დაუთმო მუშებს. მაგრამ რა საჭიროა ამდენი ფაქტები? განა საკმაო არ არის მოვიგონოთ ვანქის სობორის ეზოში მომხდარი საზიზღარი საქციელი ჩვენი ნაციონალისტებისა, რომლებმაც ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ისინი იცავენ ტერტერ-ბერების ინტერესებს?

მიიღეთ ყველა ზემოხსენებული მხედველობაში, ამხანაგებო, და აშკარათ დაინახავთ, რომ ბ. იმხანიანი არ სტყუის: ჩვენ იდეოლოგებს მართლაც რომ უბრძოლიათ და დღესაც განაგრძობენ ენერგიულ ბრძოლას, მხოლოთ არა ჩვენი ბურჟუაზიის წინაამდეგ, როგორც გვარწმუნებს ბ. იმხანიანი, არამედ... პროლეტარის კლასსიურ თვითშეგნების და მის ინტერესების ნამდვილ დამცველ პარტიის წინაამდეგ. ხოლო ვისთვის არის ხელსაყრელი სომეხ-პროლეტარისთვის თვალების დაბნელება ნაციონალურ-კლერიკალურ ტენდენციურ ზღაპრებით—ამას განმარტება არა სჭირია.

ყველა იმის შემდეგ, რაც გამოირკვა, კაცს ზიზღი მოსდის, როცა კითხულობს „არშალუისის იმ სტრიქონებს (№ 13), სადაც ეს ჩვენი ნაციონალისტების ახლათ გამოჩეკილი ორგანო მუშებს თავს უქონავს და გაიძახის, რომ ბაქო-ბათუმის მუშათა მოძრაობაში სომეხი-მუშები ჯეროვან მონაწილეობას იღებენო.

დიახ, რომ იღებენ, ბ.ბ., მონაწილეობას და ამას იქით უფრო გულმოდგინეთაც მიიღებენ, მაგრამ რათ დაგჭირდათ ამ ფაქტის მოყვანა? განა თქვენ ხელი გაგიძრევიათ სომეხ-მუშების სოციალისტურ განვითარებისათვის? განა თქვენ არ სდევნით სისტემატიურათ მუშათა კითხვას და სოციალიზმის მოძღვრებას ჟურნალ-გაზეთობაში, თუ ბროშიურულ ლიტერატურაში? ახლა კი ამპარტავნულათ გაიძახით, სომეხი მუშაც მონაწილეობას იღებს საერთო მუშათა მოძრაობაშიო. მერე, რას ამტკიცებს ეს ფაქტი? მხოლოთ იმას, რომ რაც გინდა თავი გაიხეთქონ ჩვენმა ტერტერებმა და ბურჟუა-ინტელიგენტობამ და ეცადონ მუშათა მოძრაობის შეჩერება—ეს ცდა სულ ამაოთ ჩაუვლის მათ; ის, სომეხი მუშა შეერთებული სხვა ერების ამხანაგებთან, ერთ მუშათა პარტიის სახით გადა-

თელავ ყოველგვარ ლობეს და მძლავრი ძლიერი მკლავით კისერს მოუგრეხს ყველა ფარისეველ-მატყუარა იდეოლოგებს.

ნერსეს.

---

## მრეწველობის საკითხები.

### ნორმალური სამუშაო დღე.

1) როგორ გახდა რვა სათის სამუშაო დღე ხალხის მოთხოვნილებათ? 1889 წელს საფრანგეთმა იდღესასწაულა ასი წლის იმუბილე დიდი რევოლიუციის შემდეგ.

მაგრამ მარტო საფრანგეთს კი არ უდღესასწაულია თავის მონობიდან განთავისუფლების იუბილე, არამედ მთელი ქვეყნის თავისუფლათ მოაზრეებმა იდღესასწაულეს ეს გაზაფხული ხალხთა ცხოვრებისა, რომელსაც ოდესღაც სიხარულით მიეგებენ კანტი და გოეტე და გერმანიის ლიტერატურის და მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები.

მსოფლიო ქალაქში, პარიზში დღესასწაულის აღსანიშნავათ გამართეს გამოფენა მთელი დედამიწის ხალხთა შრომის ნაყოფისა. ამისთანა ჯერ ქვეყანაზე არავის ენახა. ამ გამოფენის დროს მოხდა აუარებელი საერთაშორისო კრებები; კრებები ფაბრიკანტებისა, ვაჭრების, სასოფლო მეურნეობისა-ექიმებისა, მასწავლებლებისა და სხვათა.

აგრეთვე ქვეყნის სიმდიდრის შემქმნელმა მუშებმაც მოახდინეს საერთაშორისო სოციალისტური კრება პარიზში 14 ივლისიდან დაწყებული 21 ივლისამდე, რომელზედაც, სხვათა შორის, განიხილეს კითხვები შესახებ საერთაშორისო საფაბრიკო კანონმდებლობისა. ოცი კულტურული ეროვნების პროლეტარიატის 400 წარმომადსენლებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ კრებაზე, გამოიტანეს შემდეგი დადგენილება;

1 მაისს 1890 წელს ყველა ქვეყნის მუშებმა უნდა მოახდინონ ერთგვარი მანიფესტაცია და ყოველგან წარუდგინონ მთავრობას მოთხოვნა სამუშაო დღის კანონმდებლობით რვა საათით შეზღუდვის შესახებ.

მანიფესტაციის ფორმის არჩევა მიენდო თითოეულ მხარეს.

მანიფესტაციისათვის დანიშნული იყო პირველი მაისი, რადგან 1888 წელში ს.-ლუიში მომხდარ ამერიკის მუშათა კავშირების კრებაზე ამოირჩიეს ეს დღე იმ დემონსტრაციისათვის, რომლითაც რვა საათის სამუშაო დღე უნდა მოეთხოვათ.

ასეთი იყო გადაწყვეტილება სოციალისტების საერთაშორისო კონგრესისა, რომელიც მოხდა 1889 წ. პარიზში. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანამ როგორც 1890 წ. ისე სხვა წლებშიაც, შეაშფოთა მთელი ქვეყანა და შიშის ზარი დასცა მმართველ კლასებს. 1890 წლიდან დაწყებული, ამ დადგენილების ძალით მილიონი მუშა კაცები და ქალები ყოველ წლიურათ იკრიბებოდენ, მართავდენ კორტეჟებს და ყურადღებასაც არ აქცევდენ არც პოლიციას, არც ციხეს არც სიმშილს, რომელიც მუდმივ ემუქრებოდა მათ.

რვა საათის სამუშაო დღე ხალხურ მოთხოვნათ გადაიქცა, იგი შეიქნა ხალხის სურვილათ, ამ უკანასკნელს კი დიდ ხანს ვერაფერი წინ აღუდგება.

2) ცილის წამება. საერთო გაფიცვა.

ამ დადგენილებაში სიტყვაც არ არის: ეგრეთ წოდებულ «ლურჯ ორშაბათზე» (Blauer Montad'), რომელსაც თან ახლავს ლოთობა, ბანქოს თამაში და ჩხუბი.

2) საერთო გაფიცვაზე.

3) დღესასწაულზე (უქმზე).

მთელი ქვეყნის მებრძოლი მუშათა კლასი შეურიგებელი მტერია უმზგავსი „ლურჯი ორშაბათისა“ ისე, როგორც მოუწესრიგებელ სამუშაო დროისა ეს უკანასკნელი კი გამეფებულია იქ, სადაც „ლურჯი ორშაბათი“ ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენს. მებრძოლ პროლეტარიატს ხომ სამუშაო დროის სიდიდის განსაზღვრა სურს. ყოველგან, სადაც კი მუშათა მოძრაობა ჩნდებოდა, ქრებოდა „ლურჯი ორშაბათი“, და ამავე დროს ისპობოდა 14 და 18 საათის დამჩლუნგებელი სამუშაო დრო.

სადაც მუშათა ორგანიზაცია დამკვიდრდა „მეორშაბათეთ“ ფლასი მოისპო. მუშათა მოძრაობის მტრებიც კი ხშირათ აცხადებდენ, რომ სოციალ-დემოკრატები ჩვეულებრივათ უფრო გონება დამჯდარი და ნიჭიერი მომუშავენი არიანო. და ჩვენ თამამათ შეგვიძლია სამართლიანის სიამაყით ვსთქვათ, რომ სოციალისტურმა მუშათა მოძრაობამ აღამაღლა ხალხის ზნეობრივი მხარე და გააპატიოსნა გამეფებული კლასებიც.

მაშასადამე ცილს წამებდენ მთელი ქვეყნის პროლეტარიატს, როდესაც ამტკიცებდენ, ვითომ მას გადაეწყვიტოს ,,ლურჯი ორშაბათის'' გამართვა. ეს წინათაც ხშირათ ხდებოდა ხოლმე.

ჩვენ გვინდა მოვსპოთ ,,ლურჯი ორშაბათი''. მაგრამ ჩვენ ისიც კი გვინდა რომ მოვსპოთ ღამის და კვირა უქმე დღის დამღუპველი შრომა, დედაკაცის დაავათმყოფებელი შრომა და ბავშების სიცოცხლის მომსპობი შრომაც. ჩვენ გვინდა აგრეთვე ძირიან ბუდიანათ ამოფხრათ იმათი ,,ლურჯი ორშაბათი'', ვინც სხვის შრომის ნაყოფს ფლანგავს.

ძირს აქციონერების, რკინის გზის, ბანკების და ფულების წარმომადგენლების ,,ლურჯი ორშაბათი''! ძირს უშრომელათ შეძენილი შემოსავალი!

ცილის წამება და უნიჭობაა იმის მტკიცება, ვითომ საერთაშორისო კონგრესს დაენიშნოს 1 მაისს საერთო გაფიცვის დაწყება. ეს სიცრუეა!

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ საერთაშორისო გაფიცვა შეუძლებელია, რადგან ჯერ ჯერობით ყველა მუშა არ არის შეგნებული.

ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რომ საერთაშორისო გაფიცვის გატარება შეუძლებელია, რადგან იმ მცირე რიცხვს შეგნებულ მუშებისა, მცირეს მთელ მუშათა კლასთან შედარებით, არ აქვს ისეთი კასსები, რომ მათ შეეძლოთ თავი შეინახონ მთელ დროის განმავლობაში. დასასრულ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ საერთაშორისო გაფიცვა უაზრობას წარმოადგენს, რადგან მის მიზანს უფრო ადვილათ მივაღწევთ ორგანიზაციის და საზრიანი ბრძოლის საშუალებით.

მუშა ხალხის ტანჯვის წინააღმდეგ საერთო გაფიცვა კი არ უნდა ჩაითვალოს საიმედო საშუალებათ, არამედ საერთო ორგანიზაცია.

იმ მომენტიდან, როდესაც თითოეული მხარის მუშები ადგილობრივათ შეკავშირდებიან, და როდესაც ეს ორგანიზაციები საერთაშორისო კავშირებს შეადგენენ, ამ მომენტიდან მეტი იქნება ყოველგვარი გაფიცვა.

შეკავშირებული მუშათა კლასი შესძლებს უკარნახოს კანონები კაპიტალისტებს, მას შეეძლება უსისხლოთ გარდაქმნას საზოგადოება სოციალისტურ იდეალის თანახმათ. ამიტომ გაისმის დღეს ყიჟინა: „მუშაკაცებო და მუშაქალებო“, შეერთდით! მხოლოთ თქვენი შეერთება მოგანიჭებს თავისუფლებას.

მასთან ერთათ თქვენი შეერთება მშვიდობიან განვითარებას და სოციალისტურ საზოგადოების აშენებას ნიშნავს!!

3. საერთაშორისო მუშათა დღესასწაული.

საერთო დღესასწაულის იდეა პირდაპირ კონგრესის გა-

დაწყვეტილებიდან როდი მომდინარეობს. იგი მალე გაჩნდა თვით პროლეტარიატში და დღესაც შეურყევლათ ცხოვრობს მასში.

ეს იდეა—სამართლიანი, კარგი და დიდებული იდეაა.

სამართლიანია, მთელი ქვეყნის მუშებს ქონდეთ დღესასწაული როდესაც მათ შეეძლოთ გმარულათ მოითხოვონ თავიანთი უფლებები და თავისუფლება.

განა ცოტა არიან ჩვენს დროში ისეთები, რომლებიც ცოტას მუშაობენ, და მიუხედავათ ამისა წელიწადში რამოდენიმე თვე დღესასწაულობენ? განა არ არიან ისეთებიც, რომლებიც არასოდეს საზოგადო სასარგებლო შრომას არ ეწევიან და რომლებისათვის მთელი წელიწადი დღესასწაულია?

ნუ თუ მუშა მუდამ მიჯაჭული უნდა იყოს? ნუ თუ მხოლოთ მუშას არ უნდა ქონდეს უფლება თავისდა მიხედვით იდღესასწაულოს ერთი დღე მაინც.

მხოლოთ მას აქვს უფლება იდღესასწაულოს, ვინც შრომობს. მუქთა ხორას არ აქვს ეს უფლება; ის უნდა გამორიცხულ იქნას მეშხიარულეთა რიცხვიდან. სხვა კლასებს ყველას აქვს თავის საკუთარი დღესასწაული და ჩვენც გვინდა გვქონდეს ჩვენი დღესასწაული.

ყველა ადამიანის ერთობა და ძმობა არის უზრუნველყოფა სამართლიანობის და მშვიდობიანობის.

იდეა საერთაშორისო დღესასწაულისა კარგი იდეაა, რადგან იგი აღვიძებს მასსას; მას შეაქვს მუშა ხალხში შეგნება თავისი მნიშვნელობისა და ძლიერებისა, ასწავლის მას, რომ ყველა დედამიწაზე მცხოვრები ადამიანები თანასწორები, ძმები არიან, დასასრულ საერთაშორისო დღესასწაულის იდეია დიდებული და აღმაფრთოვანებელია. ის შეგნება, რომ მილიონი გული ძგერს ერთ და იმავე დროს შრომის განთავისუფლებისათვის, ის შეგნება, რომ მილიონი ხმა გაისმის ერთ და იმავე საათში შრომის უფლებისათვის—ეს მართლა რომ დიდებული და აღმაფრთოვანებელია!

პირველ განმანთავისუფლებელ აქტათ ებრაელებისათვის შაბათის დღესასწაულობა იყო; პირველ განმანთავისუფლებელ აქტათ პროლეტარებისათვის უნდა იქნეს საერთაშორისო პროლეტარული შაბათი.

ეკკლესია მოუწოდებს მორწმუნეთ ლოცვისთვის კვირას დილით, როდესაც თავი და გული განახლებული და შემთვისებელია; შეერთებული მუშებიც დილით მოუწოდებენ ყველას თავის დღესასწაულის სადღესასწაულოთ.

თავის საერთაშორისო დღესასწაულის დღეს დილით უნდა შეაკრიბონ მუშები და თავისი განახლებული და გმირული ხმა უნდა აღამაღლონ ექსპლოატაციის, უსამართლობის და ძალმომრეობის წინააღმდეგ, თავისუფლების, ერთობის და ძმობის გასამტკიცებლათ.

## პროფესიონალური კავშირები დასავლეთ ევროპაში. *).

(თარგმანი).

1800 წლის სასტიკმა კანონმა პირველ ხანებში ვერაფერი გავლენა იქონია მუშათა კავშირის ბედ-იღბალზე. ლონდონის პოლიცია ძალიან ცუდათ იყო დაყენებული და თათქმის ყურადღებასაც არ აქცევდა კავშირებს; საფრთხე მხოლოთ იმ შემთხვევაში მოელოდა მუშათა ორგანიზაცეებს, თუ რომელიმე მოთმინებიდან გამოსული კაპიტალისტი დაუწყებდა მათ დევნას. მაგიერში ისეთი ფაბრიკანტიც არა ერთი და ორი იყო, რომელიც ურიგდებოდა კავშირების არსებობას და ასე გასინჯეთ მოლაპარაკებას და მსჯელობას მართავდა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. საზოგადოთ 1800 წლის კანონი ისე უმნიშვნელო გამოდგა ცხოვრებაში, რომ ჯორჯ უიტმა მას „მკვდარი კანონი“ უწოდა.

ასეთი აზრი 1800 წლის კანონის შესახებ არც თუ სრულიათ სამართლიანია.

მართალია მუშათა კავშირები კანონს შემდეგაც არ მოესპარა, მაგრამ მათი ბედ-იღბალი მუდამ საფრთხეში იმყოფებოდა, რადგან კაპიტალისტს ხელში ქონდა იარაღი მუშათა წინააღმდეგ და რაც უფრო ძლიერდებოდა მუშათა მოძრაობა, მით უფრო ხშირათ სარგებლობდენ ამ იარაღით. მაგ., 1816 წ. შვიდი მუშა დაატუსაღეს სამ-სამი თვით „საიდუმლო საზოგადოებაში“ მონაწილეობისათვის. 1817 წ. ბალტონში დაატყვევეს მთელი კრება ჩითზე მბეჭდავ საზოგადოების წარმომადგენელთა,

ასეთი შემთხვევა კიდევ მრავალი იყო.

წარმოების ძველ დარგში ბევრათ უფრო უზრუნველყოფილი იყვენ მუშები „საიდუმლო საზოგადოებათა“ კანონის მხრით, ვინემ წარმოების ახალ დარგში—მაგალითათ ქსოვის და ნახშირის საქმეში.

ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ მრეწველობის ახალ დარგში მუშაობა ძალიან ადვილი იყო, გაჯიუტებულ მუშებს იქ ადვილათ ითხოვდენ, რადგან ახალ მუშას სულ მალე შეეძლო თავის მარტივი საქმის შესწავლა. ასე რომ აქ მუშები ძალიან ხშირათ იცვლებოდენ და ორგანიზაციას არ შეეძლო მჭიდროთ ფეხი მოეკიდებია. მიუხედავათ ამისა მთავრობის მხრით დევნა ვერც ასეთ მუშებში აღწევდა სასურველ მიზანს. მუშათა მოძრაობა არ ქრებოდა, მაგრამ ვინაიდან კანონს ეწინააღმდეგებოდა, ამატომ ის საშიშარი შეიქნა. მაღაროს მუშებში და მქსოველებში ამ მოძრაობამ პირდაპირ გამანადგურებელი ხასიათი მიიღო.

შეუგნებელი და ყოველივე ორგანიზაციას მოკლებული მუშები კაპიტალისტთა შევიწროებას მოთმინებიდან გამოყავდა. იგინი გააფთრებულ მხეცებივით ეცემოდენ ხოლმე ფაბრიკებს, ამსხვრევდენ მაშინებს, ხოცდენ მმართველებს და როცა საკმაოთ იძიებდენ შურს და ჯავრს ამოიყრიდენ, ხვეწნით და მუდარით ისევ სამუშაოთ ბრუნდებოდენ.

საცა კავშირებს მაგრათ მოეკიდა ფეხი, იქ ორგანიზაცია თან და თან ვითარდებოდა. ადგილობრივმა კავშირებმა ნაციონალური სახე მიიღო, მათი ვიწრო-ამქრული ეგოიზმი კლასობრივ შეგნებათ შეიცვალა. სხვადასხვა წარმოებათა კავშირებმა ერთმანერთის დახმარებას უმატეს. კლასობრივმა ბრძოლამ რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დამახასიათებელია, თან და თან ნელ-ნელა ამქრული ბრძოლის ალაგი დაიკავა.

მუშათა კლასის ასეთმა თანხმობამ მალე თავი იჩინა იმ ბრძოლაში, რომელიც მუშებმა 1800 წ. გამოცემულ კანონს გამოუცხადეს.

(შემდეგი იქნებ.)

## ერობის და ქალაქების თვითმმართველობათა მოღვაწეების კრება ქ. მოსკოვში.

12 ენკენისთვეს მოსკოვში გაიხსნა ერობათა და ქალაქების თვითმმართველობათა მოღვაწეების კრება. კრებას დაესწრო ერობის 126 და ქალაქის თვითმმართველობათა 68 წარმომადგენელი. კრებაზე ბლომათ იყვენ პრესის წარმომადგენელ-

*) იხ. „მოგზაური“, № 36.

ნი, როგორც რუსულის ისე ზოგიერთ უცხოელ გამოცემათა. სხდომა გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარემ ბ-მა გოლოვინმა, რომელმაც შემდეგი სიტყვებით მიმართა კრებას: „როგორც იცით უკანასკნელი საერობო კრება დანიშნული იყო 6 ივლისისოვის მიუხედავათ ამისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ აკრძალა მისი მოწვევა. ბიურომ შუამდგომლობა აღძრა გენერალ-გუბერნატორის წინაშე, რომელმაც იხელმძღვანელა შინაგან საქმეთა მინისტრის და მისი ამხანაგის პოლიციის მმართველის თანხმობით და ნება დაგვრთო შემდეგის პირობებით კრება გავხსნათ: სხდომებს უნდა ესწრებოდეს მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის რწმუნებული. სხდომები გარეშე ხალხის დაუსწრებლათ უნდა სწარმოებდეს. კამათს და წეს-რიგს თვალ-ყური უნდა ადევნოს კრების თავმჯდომარემ, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს მხოლოთ პროგრამით, ნება არ უნდა მისცეს არავის მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვების წამოთქმისა და ეროვნებათა შორის შუღლის ჩამოგდებისა. თუ ვინიცობაა რომელიმე ამ მოთხოვნილებათაგანი დარღვეულ იქნა, თავმჯდომარე ვალდებულია სხდომა შესწყვიტოს და კრება დახურულათ გამოაცხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მოვალეობა ეკისრება გენერალ-გუბერნატორის რწმუნებულს, რომელსაც ნება ეძლევა უკიდურეს შემთხვევაში მიმართოს პოლიციას და თუ საჭიროთ სცნო შეიარაღებული ძალაც იხმაროს. ერთი სიტყვით ეს კრება ნება დართულია სწორეთ იმ წესების მიხედვით, რომელიც შეიმუშავა გრ. სოლსკის კომისიამ. ამ კომისიის მოღვაწეობა ამ ბოლო ხანს გაზეთებში იყო გამოცხადებული, ასე რომ მისი ავკარგიანობა ყველას გაგებული აქვს. ამიტომ ჩვენც ხალისიანათ ვთანხმდებით, რადგან მთელი ჩვენი მოღვაწეობა ასეთ პირობებში მომდინარეობდა“.

კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია ბ. გეიდენი, შემდეგ ბ. იაკუშკინმა საორგანიზაციო ბიუროს ვრცელი მოხსენება სახელმწიფო სათათბიროში საზოგადო მოღვაწეთა მონაწილეობის მიღების შესახებ.

კრებამ მიიღო დაახლოებით ამ გვარი რეზოლიუცია: მიუხედავათ იმისა, რომ სახელმწიფო სათათბირო არ არის ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა, კრება საჭიროთ სცნობს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, რათა სახელმწიფო სათათბიროში მოხვდეს ისეთი ელემენტები, რომელთაც შეეძლოთ გავლენა იქონიონ სათათბიროს დანარჩენ წევრებზე იმ მიზნით, რომ მოიპოვონ თავისუფლება და თანასწორობა და ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა.

იმავე დღეს, საღამოს სხდომაზე წაკითხულ იქნა ზემოხსენებულ ბიუროს მიერ შედგენილი მოწოდება ხალხის მიმართ, რომელშიაც შემდეგი მოთხოვნილებაა აღნიშნული:

1) პიროვნების უფლებათა უზრუნველყოფა, სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლება, თავისუფლება ყრილობებისა, კრებებისა და კავშირებისა და საყოველთაო საარჩევნო უფლება.

2) მიენიჭოს სათათბიროს გადამწყვეტი ხმა იმ კანონპროექტების განხილვაში, რომელნიც მეფეს უნდა წარედგინოს დასამტკიცებლათ.

3) მიენიჭოს სათათბიროს გადამწყვეტი ხმა ხარჯთ-აღრიცხვის განსჯაში და საფინანსო ზომების გამონახვაში.

4) მიენიჭოს სათათბიროს სამინისტროების მოქმედებათა კონტროლის უფლება.

ნაციონალური საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა:

1) ძირითადი კანონი რუსეთის სახელმწიფოსი უნდა უზრუნველ ყოფდეს იმპერიის ყველა შემადგენელ ეროვნებათა კულტურულ თვითგამორკვევის უფლებას, სხვადასხვა ერთა ენების თავისუფლებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თავისუფლებას კრებებისა, კავშირებისა, სასწავლებელთა და სხვა იმ გვარ დაწესებულებათა, რომელთაც აზრათ აქვთ ენის, მწერლობის და კულტურის განვითარება.

2) რუსული ენა უნდა დარჩეს ცენტრალურ დაწესებულებათა, ჯარისა და ფლოტის სავალდებულო ენათ.

3) თუ რა ენა უნდა იხმარებოდეს ადგილობრივ ადმინისტრატიულ და სასამართლო დაწესებულებაში—ეს დამოკიდებულია საზოგადო და ადგილობრივ კანონებზე. ადგილობრივ საარჩევნო კრებათა და მათი აღმასრულებელი ორგანოების ენა თვით ხსენებულ კრებებზეა დამოკიდებული.

4) სასწავლებლებში ამა თუ იმ ენის ხმარება დამოკიდებული უნდა იყოს იმ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებაზე, რომლის უწყებაშიც იმყოფება თვით სასწავლებელი. ამასთანავე პირველ-დაწყებითი და შეძლების დაგვარათ შემდეგი სწავლაც დედა ენაზე უნდა სწარმოებდეს.

---

## ვ ი ს ი ბ რ ა ლ ი ა?

„იგი (გაზეთ „არშალუის“-ში დაბეჭდილია წერილი) თავის შინაარსით წყალ-წყალა **ფრაზეოლოგიას** წარმოადგენს და მისი ავტორი არა თუ შორეულ—ბაქო-შუშა-ერევნის ამბებს ვერ განმარტავს, არამედ ადგილით უფრო ახლობელ ქართულ გაზეთების მიმართულებასაც ვერ იცნობს, მათ შესახებ ყოვლად შეუწყნარებელ **უვიცობას** იჩენსო, ამბობს სამართლიანად „ივერიის“ მუთაური. მართლაც, ხსენებული წერილის ავტორი ამ აზრს სრულიად ამტკიცებს. „განა ცოდვათ ჩაეთვლება სომხის ბურჟუაზიას, თუ მან თავისი გაბატონებისათვის თავის სასარგებლოდ გამოიყენა ყველა საზოგადოებრივი ძალებიო?“ კითხულობს სომხის პუბლიცისტი გაკვირვებით. ნუ თუ მართლა ცოდვათ არ ჩაეთვლება ბურჟუაზიას, თუ იმან „შავი რაზმი“ შეადგინა და დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობის მოწინააღმდეგეებს ძალა გაუორკეცა? ნუ თუ ცოდვად არ ჩაეთვლება ბურჟუაზიას, თუ იმან ხულიგანები—ეს ერთნაირი საზოგადოებრივი, მხოლოდ ბნელი, ძალა თავისთვის გამოიყენა? მართალია, ბურჟუაზიას შეუძლიან „ბნელი“ ძალები თავისთვის გამოიყენოს—ეს ხომ ფულის საქმეა, მაგრამ ეს მას უვიცობათ ჩამოერთმევა, რადგანაც „ხულიგანები“ პირველ შემთხვევაშივე მას მიუბრუნდება და იმის სიმდიდრეს ერთიანათ გაანადგურებს. ამას დღეს ყველა თვალ-ხილული ადამიანი დაინახავს, ვერ მიმხვდარა ამას მხოლოდ სომეხ ბურჟუაზიის სუსტი დამცველი. მეორე აზრი, რომელიც უფრო ახირებულია, მდგომარეობს შემდეგში: ყველა მარქსისტი, ვინც უნდა იყოს იგი—კერძო კაცი, ჟურნალისტი, თუ მთელი პარტია, უნდა სიამოვნებით ეგებებოდეს ჩვენი ქვეყნის გაჩქარებულ ევოლიუციას, კაპიტალის კონცენტრაციას, სხვილი ბურჟუაზიის განვითარებას. განა ეკონომიურ ფაქტორების განვითარებას არ მოყვება პროლეტარიატის გამრავლება და მასში კლასიურ შეგნების გაძლიერება? და აქედან, რასაკვირველია, მადლიერი უნდა იყოს სომხის ბურჟუაზიის და მას გუნდრუკს უნდა უკმევდეს. მართალია, მოგზაურელები თანაგრძნობით ეგებებიან კაპიტალისტურ წარმოების განვითარებას, ნატურალურ წარმოების და ფეოდალურ ნაშთების მოსპობას, რადგანაც რაც უფრო ჩქარა განვითარდება კაპიტალისტური წარმოება რომელიმე მხარეში, მით უფრო ჩქარა მზადდება შესაფერი ნიადაგი მომავალი სოციალური წესწყობილებისათვის. მაგრამ ისიც უნდა იცოდეს ყველამ, რომ მოგზაურელები, როგორც მარქსისტე-

ბი, ამ ეკონომიურ განვითარებაში არავის მადლობას არ ეტყვიან, არც კერძო პირს, არც რომელიმე ერის ბურჟუაზიას. პირიქით, ისინი ამ ვაჟბატონებს ძილსაც დაუფრთხობენ პროლეტარიატის კლასიური შეგნების განვითარებით და მათი კაპიტალისტების წინაალმდეგ ამხედრებით. ვისი ბრალია, რომ სომხის პუბლიცისტს ვერ გაუგია მოგზაურელების ნამდვილი აზრი? იმისი ბურჟუაზიული აზროვნებისთვის არ კმარა მარტო მარქსის სახელის ხშირი ხმარება, საჭიროა მისი აზრების სინამდვილით გაგება და სწორედ აქ ხდება ის, რაც უნდა მომხდარიყო. სახარების შინაარსი თეკლათის მღვდელს ისე ესმის, რომ დრამის ფული ბლომად უნდა მისცენ, რადგანაც ქრისტე ამბობს: „მუშაკი ღირსია სასყიდლისაო“, ხოლო თეკლათელებს სხვა ადგილი მოჰყავთ სახარებიდან: „უფასოდ მიიღე, უფასოდ გაეციო“, და ფულზედ უარს ეუბნებიან. ორივე მხარე თავის ინტერესებს ემსახურება. სომხების ბურჟუაზიის იდეოლოგიც ტყავიდან ძვრება, რომ სომხის ბურჟუაზია გაათეთროს და მარქსსაც ეპოტინება. ვისი ბრალია, რომ სომხის პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება დაბალ დონეზედ სდგას? „მოგზაური“ ამბობდა: „სომხის ბურჟუაზიამ და სამღვდელოებამ თავისი კლასობრივი ინტერესები საერთო ინტერესად გაასაღეს, ამით „ყველა საზოგადოებრივი ძალა თავისთვის გამოიყენეს, ხოლო პროლეტარიატი სიბნელეში ამყოფესო“. ამის წინააღმდეგ სომხების პუბლიცისტი არსებითად არაფერს ამბობს, რადგანაც იმას გონია, რომ ეს მოვლენა ისტორიული აუცილებლობაა, რადგანაც «განა ცოდვათ ჩაეთვლება სომხის ბურჟუაზიას, თუ იმან შოვინიზმი იქადაგა, ბნელი ძალებიც გამოიყენა და თათრების პროლეტარიატი სომხების პროლეტარიატს დააჯახა!»

გაზეთ „არშალუის“-ში დაბეჭდილ უაზრო წერილით შესაფერად ისარგებლა «ივერიის» მეთაურმა. მართალია, ეს წერილი უბრალო ფრაზეოლოგიაა, მოგზაურის ნამდვილი მიმართულების გაუგებრობის ნაყოფია და, როგორც ამისთანა, არა-ყურადღების ღირსი, მაგრამ ის მაინც მშვენიერია იმდენად, რამდენად ის „ივერიის“ მეთაურს გამოადგება „მარქსელების“ წინააღმდეგ. «ივერიის» პუბლიცისტმა ჭეშმარიტების აღმოჩენაში სომხის მეცნიერს გადააჭარბა. თურმე სომხის ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები დიდი მომხრენი ყოფილან კლასობრივი ბრძოლის, თურმე სომეხ კაპიტალისტს ძლიერ უხარიან, როცა მის ქარხანაში იფიცებიან, სამუშაო ქირის მომატების და დროს შემცირებას თხოულობენ. «კლასობრივად გვებრძოლე» იძახის, ჩვენი ავტორის აზრით, სომხის ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები. ცხოვრებაში კი სულ სხვას ვხედავთ. უპირველესად ყოვლისა ყოველი ბურჟუაზია კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგია და ხშირათ მიმართავს ჯარს გაფიცულ მუშების მოსაჭკუიანებლად. ნუ თუ ეს არ შეუმჩნევია ჩვენს ავტორს? მაგრამ იმას ხომ სულ სხვა თვალთა ხედვის ისარი აქვს და რაც მას გულს არ უნდა, იმის თვალიც ვერ ამჩნევს. ამასთან ნეტა რათ დასჭირდა „ივერიის“ პუბლიცისტს მისი ჯურის ვაჟბატონებისგან არა ერთხელ გამოთქმული ცილის წამების განმეორება, რომ «დასელებს» გამოგდებული აქვთ ხმარებიდან სიტყვა «ენაო». ამისთანა ჭორს ახლა ფასი დაეკარგა და თუ თქვენ არ იცით მოგზაურელების აზრი ენის შესახებ, გთხოვთ პარტიული ლიტერატურა კარგათ გაიცნოთ და იქამდის კი იქონიოთ იმდენი სირცხვილი, რამდენიც სინდისი გაქვთ. (სასაცილოა, გასაკვირველია) ... 

ფრთხილე, რამდენიც სიდინჯე გაქვთ. სასსრულ, გასაკვირველია ჩვენი ავტორის ულოღიკობა. რათ დასჭირდა მას „მოგზაურის“ წინააღმდეგ გამოყენება იმ მასალის, რომელიც, მისივე სიტყვით, მოთავსებულია „სომეხ პუბლიცისტის ფრაზეოლოგიის კრებულში“. ვისი ბრალია, რომ სომხის პუბლიცისტი „მოგზაურის“ აზრს ვერ იგებს და მის წინააღმდეგ „ყოვლად შეუწყნარებელ უვიცობას იჩენს?“ ვისი ბრალია, რომ თქვენც არ იცნობთ, ან არ გინდათ იცნობდეთ „მოგზაურის“ ნამდვილ აზრებს ამა თუ იმ საკითხზედ? რასაკვირველია, არა ფ. მახარაძესი და „მოგზაურის“ პარტიის კაცების.

ბ. თეკლათელი.

---

# ქ ა რ თ უ ლ ი მ უ ს ი კ ა.

ყოველგვარ ქართულ საქმეში კულტურა თვალსაჩინო ადგილს იჭერს და თანდათან განვითარების, გაუმჯობესობის ნიადაგზე ფუძნდება, მაგრამ ასეთივე არ შემიძლია ვსთქვა ქართულ მუსიკაზე. ვსთქვათ, ქართული მუსიკა ჯერ ნორჩია. იმისი ნოტების საშვალებით წერა დავაარსე 1885 წელს და მას შემდეგ ბევრიც დავსწერე, მაგრამ გავრცელებას მისი საქვეყნოთ არ მოსერხდა. . . ქართული ზეპირი მუსიკა მდიდარია რაოდენობით, მშვენიერია მელოდიური კილოთი. მას აქვს თავისებური გარმონიზაცია, ტერმინოლოგია. მაგალითად: **ავაჯა (Melodia)**, **ხტილი** (Intervale), **ზომა** (Misura, tempo), **წართქმა** (Recitativo), **ბგერა, ტონი** (Tono) **ჭექა** Forté. **დამუხლება** (Finale), **სასული** (Pausa), **შეჩერება** (Fermato), **ფეროვნება** (Colorito), და სხვა ხტიებს აქვს: სამანა (Trioli) სამჯერ ხმის აწევ-დაწევა ერთი ხელის დაკვრაში, ხუთანა (Zuintoli) ხუთჯერ ხმის აწევ-დაწევა ერთი ხელის დაკვრაში, ექვსანა (Sestoli) ექვსჯერ ხმი აწევ-დაწევა ერთი ხელის დაკვრაში. ქართული მუსიკა შემკობილ-შედგენილია ყოველ მოთხოვნებისათვის ცხოვრებაში: ჭირში, ლხინში, მუშაობაში, მგზავრობაში, ლაშქრობაში, ნადირობაში, არშიყობაში, ცხენოსნობაში, როკვაში (ცეკვაში) და სხვა. (ყველა ესენი დაწერილი მაქვს ნოტებზე და რამდენიმე დაბეჭდილიც არის). ქართული სიმღერების ხმებს აქვს თავიანთი განსაკუთრებული სახელწოდება: **კრიმი** (Soprano), **ზილი** (Contralto), **გამყივანი** (Tenore) **მაღალი ბანი** (Baritono), **ბანი** (Basso), **დვრინი** (Bassoprofondo), **დუმბი** (Profondissimo).

ქართულ მუსიკას, სხვათა შორის, აქვს მელოდეკლამაცია. დასავლეთ საქართველოში მიცვალებულს ასაფლავებდენ საჯარო გლოვა-ტირილით. თითოეული მომტირალი, კუბოს წინ მჭევრმეტყველობით აღნუსხავდა მიცვალებულის წარსულს ავ-კარგიანობას. მომტირალის დეკლამაციურ სიტყვებს მიყვებოდა ზარი—სამგლოვიარო გალობა უსიტყვოთ, წუხრათ, წყობილათ, ზარს დეკლამაციასთან ხმას აყოლებდენ რიგ-რიგობით თმა გაშლილი ექვსი ქალიშვილი კრიმისა და ზილის ხმით „უი, უი“-ის სიტყვით. ყველა ესენი გვიხატავენ ორიგინალ სურათს და თავისებურს მუსიკას. ქართულ მუსიკას აქვს თავისი კანონები ხმათა შეწყობისა და მათ შორის განწყობილებისათვის, მაგრამ ზოგიერთ უცხოელთ და ჩვენებსაც დაუწყიათ წერა ზეპირი მუსიკისა, რომელშიაც არ არის დაცული ის კანონი, ურომლისოთ სიმღერა კარგავს სინამდვილეს და იმცირებს ღირსებას. ვამბობ, ქართული მუსიკა მდიდარია რაოდენობით და მრავალგვარ კილოებით, მაგრამ ეს სიმდიდრე მთლად ვერ ჩავიგდეთ ხელში, რადგანაც ხმარება მათი მცირდება და თითქმის ისპობა. ამ გარემოებას მოულოდნელმა შემთხვევამ გაუდამა. ჩვენს მოღვაწეს ბ. არისტო ქუთათელაძეს ზედ მიწევნით ცოდნია ზეპირი ძველი საგალობლები. მას უსწავლია ცნობილ მგალობლის სიმონ კუტისაგან ხონში და დამიწერინა ნოტებზე 551 ცალი საგალობლები, რომელნიც სავსეა მელოდიური სიტკბოებით, მეტადრე ჭრელები და წარდგომები, დიდებულათ და ხელოვნურათ შედგენილი ძველი მგალობლების მიერ. დიდი მადლობის ღირსია ბ. ქუთათელაძე, რომელმაც უსასყიდლოთ შესძინა ეს ძვირფასი განძი ქართულ

მუსიკას და დაკარგვას ააშორა. სულ დავსწერე საგალობლები: ქუთაისში—400, გურიაში—500, ქუთათელაძისაგან 551, საერო სიმღერები საქართველოს ყველა კუთხისა—300. სულ—1751.

**ფილიმონ ქორიძე.**

# განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი:

**კლარა ცეტკინასი**

**„დედაკაცი“**

**და მისი ეკონომიური მდგომარეობა.**

**ფასი ორი შაური.**

---

**ქართული წარმოდგენა**

სახაზინო თეატრში.

ხუთშაბათს, 13 ოკტომბერს,

**ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ**

წარმოდგენილი იქნება

**ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით**

— პირველად ახალი პიესა —

I.

## მამა

ტრაგედია 3 მოქმ. ა. სტრინდბერგისა, თარ. თ. ხუსკივაძის მიერ.

II.

## ბებრის სადღეგრძელო

ვოდევ. ერთ მოქმედ. მაზურკევიჩისა. თარგ. დ. აწყურელისა.

**მონაწილეობას იღებენ:** ქბ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ზ. საფაროვი, კ. შათირიშვილი, ვ. ურუშაძე.

**წარმოდგენა დაიწყება 8 საათზედ.**

ადგილების ფასი: ლოჟები 2 მანეთიდან 10 მანეთამდე, ბალკონი 60 კაპეიკიდან 75 კაპეიკამდე, ამფითეატრი 1 მან. გალერეია 25 კაპ.—35 კაპეიკამდე.

**შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.**

---

მზადდება წარმოსადგენად **„სულით ობოლნი“, „შიო თავადი“, „მარუჩა“ „ქოხში“.**

---

**თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს:**

1) ყველანი ისხდნენ მხოლოდ თავთავიანთ ადგილებზე, რაიც აღნიშნულია ხოლმე ბილეთებზე, რათა ამით დამყარდეს სასურველი და საჭირო წესრიგიანობა:

2) პიესის წარმოდგენის დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო დროს მოქმედების შეწყვეტა შთაბეჭდილების მთლიანობას აფუჭებს და მსახიობთაც აღკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკვრელათ.

3) მეორე ზარის შემდეგ ყველანი დასხდნენ თავთავიანთ ადგილას და ამით ხელი შეუწყონ ანტრაქტების შემცირებას და ამავე დროს მოერიდნენ სხვა მაყურებელთა შეწუხებას უდროვო დროს ადგილების ძებნით.

რეჟისორი **ვალერიან გუნია.**

# ახალი წიგნები

**თფილისი, კიროჩნაია, № 7.** (Тифлисъ, Кирочная, № 7).

წიგნის მაღაზია. **ვ ბადილიასი.**

*К. Марксъ.* . . Гражданск. война во Франціи. Полн. перев. подъ ред. Ленина, О. 1905 г. — р. 15 к.

„ „ Современная борьба класовъ. О. 1905 г. — р. 8 к.

*К. Каутскій.* . Развитіе формъ гесуд. Р.-н.-Д, 1905 — р. 7 к

„ „ Социальный переворотъ. На другой день. С.-П. 1905 г. . . . — „ 20 к.

*А. Бебель.* . . Женщина и соціализмъ. О. 1905 г. 1 р. — „

*В. Либкнехтъ.* Два міра. Съ предисл. Ю. Мат-
» тегера. О. 1905 г. . . . . . — „ 15 к.

*Кл. Цеткина.* . Женскій вопросъ и германск. студенчество О. 1905 г. . . . . — „ 8 к.

*Бруно Шенланкъ.* Пролетаріатъ и его стремленія. О. 1905 г. . . . . . — „ 15 к.

*В. Пемберъ-Ривсъ.* Политичес. избирательныя права женщ. въ Австраліи. О. 1905 г. — „ 8 к.

*Проф. А. Миклашевскій.* Стачки и социальный вопросъ С.-П. 1905 г. . . . . . — „ 30 к.

*А. Горбуновъ.* . Гарантіи личной свободы въ Англіи. Р.-н.-Д. 1905 г. . . . . . — „ 15 к.

*Б. Баксъ* . . . Великая Французская революція. Перев. съ англ. Р.-н.-Д. 1905 г. — „ 15 к.

*Ж. Лонгэ.* . . . Соціализмъ въ Японіи. Переводъ съ франц. В. Засуличъ. О. 1905 г. — „ 10 к.

*А. Пѣшехоновъ.* Крестьяне и рабочіе. С.-П. 1905 г. — „ 30 к.

*А. Оларъ.* . . . Политическ. ист. французск. революціи. М. 1905 г. . . . . . 3 р. — к.

Идеи марксизма въ германск. рабоч. партіи. С.-П. 1905 г. . . . . . — „ 10 к.

*С. Котляревскій.* Совѣщательное представительство Р.-н.Д. 1905 г. . . . . . . — „ 4 к.

*К. Рожковъ.* Исторія крѣпостного права въ Россіи. — „ 10 к.

Какъ сицилійскіе крестьяне боролись за свои интересы. Р.-н.-Д. 1905 г. . . . — „ 6 к.

*Н. Щепкинъ.* . Земская и городская Россія о народн. представител. Р.-н.-Д. 1905 г. — „ 10 к.

Пѣсни Труда. 2-ое дополн. изданіе. Р.-н.-Д. 1905 г. — „ 8 к.

წიგნები შეიძლება გაიწეროს ფასდადებითაც. (съ налож. плат.).

წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ფირმების გამოცემანი: „Буревѣстникъ“, „Молотъ“ „Донская рѣчь“, „Обществен. польза“, „Демосъ“, „Новая заря“. „Впередъ“, „Возрожденіе“, М. С. Козмана. *Маріи Малыхъ* *Е. Алексѣевой.* და სხვანი.

---

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**